პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 152 (26493) — ქვირა, 2 ივლისი, 1989 წელი. — ფასი 3 კაპ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლა ცენტრალური ტელევიზიით

ძვირფასო ამხანაგებო!

ამ დღეკანდელ შეხვედრაზე მინდა გესაუბროთ ეროვნებათშორის ურთიერთობაზე, საკითხზე, რომელიც, დარწმუნებული ვარ, დღეს ყოველ საბჭოთა ადამიანს აწუხებს.

მის სწორ გადაწყვეტაზე მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული ადამიანთა სიმშვიდე და სეფსვიანობა, გარდაქმნის ბედი, თუ გებავთ, — ჩვენი სახელმწიფოს ბედ-იღბალი და მთლიანობა.

ჩვენ ყველა მართლაც არ შეიძლება არ გვაწუხებდეს, რომ ამ ბოლო დროს ხან აქ, ხან იქ წარმოიშობა შეუწყნარებლობა, კონკლაობა, ხშირად კი კონფლიქტებიც ეროვნებათშორის საფუძველზე, კონფლიქტები, რომლებიც ხალხს აგდებს ნორმალური ცხოვრების კალაპოტიდან, მთელ რიგ შემთხვევებში კი ტრაგედიად ატყდება თავს ადამიანებს.

განა შეიძლება გულგრილნი და გულხელდაკრეფილნი ვიყოთ იმ დროს, როდესაც ჩვენნი ნაცნობ-მეგობრებიც, ოჯახებიც, ადამიანებიც ისე გაუჭირდათ, რომ იძულებული არიან მიატოვონ მშობლიური კერა, სამუშაო, მთელი აღლადიდება, და გადაიხვეწონ.

ლტოლვილთა შორის არიან მოხუცები, ქალები და ბავშვები, რომლებსაც სიცოცხლის ბოლომდე არ მოუშუშდებათ სულიერი იარა. ისინი მარტოოდენ ფიზიკურ შეჭირვებას ორდი განიცდიან. გაცილებით უფრო მძიმეა ზნეობრივი ლახვარი, რომელმაც შეიძლება დაღი დაასვას ადამიანთა აზროვნების წესს, ქცევასა და ხასიათს.

ძალადობა, რომელიც ადამიანთა შორის მტრობის გარდაუვალი შედეგი ხდებოდა ხოლმე, ყოველთვის იბარტყებდა ბოროტებად და უზნეობად.

აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ყოველივე ეს დამღუპველ გავლენას ახდენს ცალკეული რეგიონებისა და მთელი ქვეყნის ეკონომიკაზე, იწვევს სერიოზულ მატერიალურ დანაკარგებს.

როდესაც შარშან გამძაფრდა სიტუაცია მთიან ყარაბაღში და საწარმოები გიჩერდა სტეფანაკერტში — სხვათა შორის, ჩვენებური მასშტაბით არცთუ ისე დიდ ქალაქში, — ამან შეაფერხა ასობით საწარმოს მუშაობის რიტმი, დაღი დასვა ბევრი მშრომელი ოჯახის ბიუჯეტს, აზარალა ისინი.

ჩვენ ვლაპარაკობთ ეროვნებათშორის შეტაკებათა ცალკეულ კერებზე. მაგრამ, თუ არ გავიცინბიერეთ ასეთი მოვლენების მთელი შედეგები, უდიდესი საფრთხე, ისინი სულ უფრო გავრცელდება და უარესი დრო დაგვიდგება.

ყველა ეროვნების ადამიანებმა უნდა იცოდნენ ეს სიტუაცია. უპასუხისმგებლო ლოზუნგებს, პოლიტიკურ წაქეზებას ინტერესების ხელოვნური დაპირისპირებისა და შეჯახების, ერთი ერის მეორე მოერის განდეგნის იმედად ყოფნას, სხვა ამგვარ მოწოდებებსა და მოქმედებას შეიძლება საყოველთაო უბედურება მოჰყვეს.

ახლანდელი თაობა და ჩვენი შთამომავლნი წყეულა-კრულვას შემოუთვლიან იმათ, ვინც ამ გზაზე დააყენეს ხალხი, და იმათ, ვინც დროზე არ გაფრთხილა, არ შეაჩერა ისინი დამღუპველი უგუნურებისაგან.

როგორც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, ჩემს მოვალეობად ვრაცხ გაგაფრთხილოთ, თუ რაოდენ საშიშია ეროვნებათშორისი ურთიერთობის გამწვავების ზრდა და მასთან დაკავშირებული შედეგები საზოგადოებისთვის, თითოეული ოჯახისათვის, ყოველი ადამიანისათვის.

ყოველი კაცი უნდა ემორჩილებოდეს იმ ქვეყნის კანონებს, რომელშიც ცხოვრობს. მხოლოდ ეს უზრუნველყოფს გარანტიულად მოქალაქის უფლებებს მისი ეროვნების მიუხედავად. და ამ უფლებებს სახელმწიფო დაიცავს მის ხელთ არსებული ყველა საშუალებით.

არავინ არ უნდა ურიგდებოდეს ნაციონალისტურ გამოვლინებებს, რა ფორმითაც უნდა ვლინდებოდნენ ისინი, — იქნება ეს კუთხური ნაციონალიზმი თუ შოვინიზმი. ისინი დამაკირებელია ყოველი ერისათვის, შეურაცხმყოფი და უხამსია ადამიანური ღირსების თვალსაზრისით.

ვერ შეეურიგდებით იმათ, ვისაც სწადია სპეკულაციური, ხშირად კი აშკარად დანაშაულებრივი მიზნებისათვის გამოიყენონ ეროვნებათშორის ურთიერთობაში წამოჭრილი უთანხმოებანი. და თუ ზოგან ნამდვილად აუცილებელია შეუწყნარებლობა, ეს უწინარესად ითქმის იმათ მიმართ, ვინც შეგნებულად აგდებს ეროვნებათშორის შუღლს.

წინათ მითქვამს და მინდა გავიმეორო — ეს ეცდესთან თამაშია. ის, ვინც ამ გზას დაადგა, კისრად იდებს უმძიმეს პასუხისმგებლობას საკუთარი ერისა და მთლიანად საზოგადოების წინაშე.

ჩვენ მოვალენი ვართ შევეჩიროთ სიტუაციის ასეთი განვითარება. უნდა უკუვაგდოთ ყოველგვარი შერყეობა, და კანონების მოთხოვნების, ადამიანთა საარსებო ინტერესების შესაბამისად მიეღოთ უტაკეცესი ზომები იმათ ასალაგმად, ვინც პროვოკაციულად იწვევს ეროვნებათშორის შეტაკებებს, მოუწოდებს საზღვრების

გადაკეთებას, ეროვნულ უმცირესობათა აყრა-განდევნას.

წყარუების იმედით ნუ იქნებიან ნურც ისინი, ვინც დანაშაულებრივ გზას დაადგა, და ნურც ისინი, ვინც ხელს უწყობს ამას.

მაგრამ, როდესაც ვამბობთ, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ მოქმედება, მთელ სამუშაოს ვერ გავაიგივებთ საგანგებო ღონისძიებებთან, ხანძრის ჩაქრობასთან. ჩვენ, ამხანაგებო, გვმართებს ღრმად გავერკვეთ ყველაფერში და განვახორციელოთ ღონისძიებათა კომპლექსი, რათა გავაჯანსაღოთ ეროვნებათშორისი ურთიერთობა, აღმოვფხვრათ მიზეზები, რომელთა საფუძველზე წარმოშვა ახლანდელი გართულებანი.

თვალი უნდა გავუსწოროთ სიმართლეს და გამოვტყდეთ, რომ ყველა ჩვენს ხალხთა განვითარებაში მოპოვებულ უდიდეს მიღწევებთან ერთად დაგვიგროვდა ბევრი პრობლემა, რომლებიც საგულდაგულო ყურადღებასა და დაუყოვნებლივ მოქმედებას მოითხოვს.

წამოჭრილ სიძნელეთა მიზეზები სხვადასხვაგვარია.

არა მგონია, ვინმემ საცილოდ გახადოს ის უდიდესი ცვლილებები, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის ეკონომიკასა და კულტურაში რომ მოხდა. მაგრამ მათ წარმოშვეს თავიანთი პრობლემებიც, რომლებსაც დიდი ხნის განმავლობაში ვერ ვამჩნევდით და ვაჩუმათებდით.

წინააღმდეგობათა დაძლართულ კვანძად გადაეწნა ერთმანეთს ეროვნული პრობლემები და პრობლემები, რომლებიც გამოიწვია ეკონომიკის უძრაობამ, ხალხის სოციალურ საჭიროებათა უგულებელყოფამ.

ოდესაც გავრცელებულ დებულებას ყველა ერის შერწყმის შესახებ პრაქტიკულად შედეგად მოჰყვა ის, რომ დაახლოებისა და ინტერნაციონალიზაციის ობიექტური ტენდენცია, რომელიც საერთოდ ჯანსაღი ტენდენციაა, დაუპირისპირდა ეროვნული თვითშეგნების ზრდას.

დღეს ჩვენ ვიმკით იმ უკანონობის ნაყოფსაც, წინა ათწლეულებში რომ სჩადიოდნენ, — ეს არის მთელი ხალხების აყრა-გასახლება მათი მიწა-წყლიდან, მცირერიცხოვანი ერების ეროვნული ინტერესების დაკიწყება. ყოველივე ეს მოხდა და უკვალოდ ვერ ჩაივლიდა.

ამ გადახრებმა გამოიწვია ეროვნული ინტერესების არარად ჩაგდება, რესპუბლიკების მრავალი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის უგულებელყოფა, ქვეყნის ხალხთა ენისა და კულტურის განვითარების დეფორმაცია, დემოგრაფიული სიტუაციის გამძაფრება და მრავალი სხვა ნეგატიური შედეგი, რასაც, სამოლოო ანგარიშით, ეროვნებათშორის ურთიერთობაში დაძაბულობა მოჰყვა.

ახლა ყოველი ჩვენგანის წინაშე დგას ერთობ ძნელი ამოცანა — ჩავაყენოთ ეს ურთიერთობა ასალგამდ, ვინც პროვოკაციულად იწვევს ეროვნებათშორის შეტაკებებს, მოუწოდებს საზღვრების

ნოთ სწორი არჩევანი — ნათლად განვსაზღვროთ, როგორი მიდგომით გადავწყვეტთ ამ საკითხებს.

როგორ უნდა გადავწყვიტოთ მთელი ეს დაგროვილი პრობლემები? აი, როგორ:

პირველი. უნდა ვიხელმძღვანელოთ ფუძემდებელი სოციალისტური კრიტერიუმებით, რომლებიც უკვე აღინიშნა XIX პარტიულ კონფერენციაზე, — ყოველი ადამიანი, რა ერისაც უნდა იყოს იგი, ქვეყნის ნებისმიერ ნაწილში თავს უნდა გრძნობდეს თანასწორუფლებიან მოქალაქედ, ჰქონდეს შესაძლებლობა სარგებლობდეს სსრ კავშირის კონსტიტუციით გარანტირებული ყველა უფლებით.

ერებისა და ხალხების თანასწორობა განუყოფელად არის დაკავშირებული ადამიანთა თანასწორობასთან, მიუხედავად მათი ეროვნებისა. ეს კაცობრიობის ცივილიზაციის ჰუმანიზმის უზენაესი პრინციპია.

ხოლო იქ, სადაც ეს პრინციპი ვერ შეუგნიათ, უკეე ხდება და შეიძლება მოხდეს ახალი დრამატული მოვლენები. ჯერჯერობით კონფლიქტები შეეხო იმ რაიონებს, სადაც ზოგიერთი ეროვნების ადამიანები უმცირესობასა და მცირე გაერთიანებებს შეადგენენ.

მაგრამ თუ ეროვნებათშორისი შუღლი გავრცელდება და მოიცავს რეგიონებს, სადაც მკვიდრი ეროვნების ადამიანებთან ერთად სხვა ეროვნების მილიონობით ადამიანი ცხოვრობს?

განა საკითხავია, რაოდენ ტრაგიკული შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამ უგუნურ შუღლს. და რა მაგალითს მიეცემთ სხვებს ჩვენ, რომელნიც მთელ კაცობრობას მოვუწოდებთ, უმაღლეს მსოფლიო შეკრებათა.

მეორე. სასიკეთო ცვლილების იმედი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეგვიძლია ვიქონიოთ, თუ ყოველი ერი, ყოველი ხალხი თავს იგრძნობს, მე ვიტყოდი, გულდაჯერებულად საკუთარ სახლში, თავის მიწა-წყალზე.

ამიტომ უნდა უზრუნველვყოთ ყველა საჭირო წანამძღვარი ეკონომიკური, სოციალური პროგრესის, ენისა და კულტურის თავისუფალი განვითარების. ამ გარემოს შენარჩუნებისა და რაციონალური გამოყენებისათვის, რომელშიც მათი მამა-პაპანი ცხოვრობენ საუკუნეთა მანძილზე.

ეს ცხადია, და ასევე ცხადია

ამის გათვალისწინებითაც „ი, რომ ამ საქმეში ბევრი ხარვეზია დაშვებული, რომ მასში არის აუკარა შეუსაბამობანი, რომლებიც გამოსწორებას მოითხოვს, ფაქტად რჩება — ყველა რესპუბლიკა, ყველა რაიონი ერთმანეთთან უმჭიდროესად არის დაკავშირებული.

გაგლიჯო ეს სიმები, ნიშნავს დანა დაუსვა ცოცხალ კაცს. არ შეიძლება უკეთესობის ძიებაში დაადგე აშენებულის ნგრევის გზას, უარი თქვა იმაზე, რაც უკვე მოგცა ფედერაციამ და რაც შეგიძლია ამრავლო მის ფარგლებში.

ამიტომ ეკონომიკური ავტარკიისა და სულიერი იზოლაციის მოწოდებანი უნდა მივიჩნიოთ ყოველი ერის, მთელი საზოგადოების ღვიძლი ინტერესებისათვის ორგანულად უცხო მოწოდებებად. მათი რეალიზაცია ჩვენ ყველას გადაგვისვრიდა უკან — ძალიან უკან, — უდიდეს მატერიალურ და მორალურ დანაკარგებს მოუტანდა ყოველ ერს, თითოეულ ადამიანს.

არადა, გარდაქმნას რომ შეეუდექით, ჩვენ უწინარეს ყოვლისა იმისთვის ვიღწვით, რომ რადიკალურად გავაუმჯობესოთ ჩვენი ცხოვრება. გვაქვს კიდეც ამის რეალური შესაძლებლობანი.

დარწმუნებული ვარ — პასუხი ყველა იმ კითხვაზე, რომლებიც ჩვენ გვაწუხებს, უნდა ვეძებოთ არა ნგრევაში — არა ერთობის ნგრევაში, — არამედ ფედერაციის ძირფესვიანი განახლების გზებზე, რათა შთავბეროთ მას თავისებური მეორე სუნთქვა, ძოლიანად და საქმით შევასახათ ხორცი პრინციპებს, რომლებიც ლენინმა დაუდო საფუძვლად საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს.

ყველა ეს საკითხი შორეული მომავლის საქმე არ გეგონოთ. ისინი უნდა გადავწყვიტოთ პოლიტიკური რეფორმის ახლანდელი ეტაპის პროცესში.

მეოთხე. როდესაც ეროვნებათშორის ურთიერთობაზე, მრავალეროვან ქვეყანაში ამ საკითხის მთელ სირთულეზე ვლაპარაკობ, მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო აზრი კომუნისტებისა და კომკავშირელების, ჩვენი რესპუბლიკების მთელი საზოგადოებრიობის პასუხისმგებლობის შესახებ.

ბევრი რამ არის დამოკიდებული ჩვენს ინტელიგენციაზე, ყველა რესპუბლიკის მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებზე, უდიდესია მათი გავლენა ეროვნულ პროცესებზე, მათს სიტყვას ყურს უგდებენ ხალხები, ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ეს გავლენა გონივრული და სასიკეთო იქნება.

ყოველივე, რაც ეროვნულ პრობლემებს ეხება, ადამიანის ცნობიერებაში, სულში გადის. აი, რატომ არის, რომ ჩვენი საზოგადოების ყოველმა მოქალაქემ უნდა თქვას თავისი სიტყვა, რომელიც ეროვნებათშორისი ვნებათაღელვის დაცხრობისათვის მოუწოდებს.

ახლა უკლებლივ ყველასა და თითოეულს ამ საკითხში მოგვეთხოვება უდიდესი პასუხისმგებლობა, პატიოსნება და რაც მთავარია, — მოგვეთხოვება მოქმედება და კონკრეტული საქმეები.

ისინი, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობა და ადამიანთა კეთილდღეობა, ვერ დარჩებიან გარეშე მეთვალყურეებად, პოზიცია ამ საკითხებში მკაფიო და მტკიცე უნდა იყოს.

საჭიროა მტკიცედ წინააღვუდგეთ ნაციონალიზმის ყოველგვარ გამოვლინებას, ამასთან ვიყოთ უურადღებიანნი და გულისხმიერნი ეროვნული ხასიათის ყველა კანონიერი მოთხოვნისა და მისწრაფების მიმართ.

საბჭოთა კავშირის ხალხებს ერთი ბედი აქვთ. საკითხები, რომლებიც ჩვენს წინაშე წამოიჭრება, მათ შორის ყველაზე რთული საკითხებიც უნდა გადაწყდეს და უკვე წყდება დემოკრატიული განხილვის, მოთმინებისა და ერთმანეთისადმი ყურადღების საფუძველზე. სხვა გზა ჩვენ საერთოდ არ გაგვაჩნია. მთავარია, ეს არა მარტო კარგად გვესმოდეს, არამედ შესაბამისადაც ვმოქმედებდეთ.

ძვირფასო ამხანაგებო! მე მივმართავ ჩვენი ქვეყნის ყველა ეროვნების ადამიანებს, მოგმართავთ ყველას, მივმართავ თქვენს გულსა და გონებას.

მე მოგიწოდებთ გამოიჩინოთ უზენაესი პასუხისმგებლობა აწმყოსა და მომავლის წინაშე, ყველაფერი იღონოთ, რათა შეგობრობისა და თანამშრომლობის საფუძველზე გადავჭრათ ეროვნებათშორის ურთიერთობაში დაგროვილი პრობლემები და გავიყვანოთ საბჭოთა ფედერაცია ჩვენი საერთო ინტერესების საკეთილდღეო განვითარების ფართო გზაზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 29 ივნისის სხდომაზე განიხილა გარდაქმნის გაღრმავების პირობებში პარტიულ ორგანიზაციათა მუშაობისა და პოლიტიკური რეფორმის მიმდინარეობის საკითხი.

აღინიშნა, რომ პარტიის XXVII ყრილობისა და სკკპ XIX საკავშირო კონფერენციის დებულებათა საფუძველზე პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში კიდევ უფრო ვითარდება დემოკრატიზაციისა და საჯაროობის პროცესები, იზრდება მომთხოვნელობა კომუნისტების მიმართ. 1988 წელს კომუნისტურ პარტიაში შევიდა 288,9 ათასი კაცი, რომელთა ნახევარს მუშები შეადგენენ. კომუნისტთა რიგებს ემატებიან გარდაქმნის აქტიური მონაწილენი, რომლებსაც სწამთ, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი კურსი სწორია. პარტიული რიგების გაჯანსაღებაზე დადებითს გავლენას ახდენს ანგარებიანი, უწნეო ელემენტებისაგან, კომუნისტის წოდების შემარცხვენელთაგან განთავისუფლების პროცესი, რომელიც სულ უფრო ძლიერდება.

ამ საკითხებზე მიღებული დადგენილება პრესაში გამოქვეყნდება.

პოლიტბიუროს იმსჯელა ქვეყანაში ფულის მიმოქცევის სფეროში პოლიტიკის თაობაზე წინათ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ. სხდომაზე დაწვრილებით გაანალიზეს სამომხმარებლო ბაზარზე იმ ნეგატიური მოვლენების წარმოშობის მიზეზები, რომლებიც უშუალოდ ახდენენ გავლენას ქვეყნის პოლიტიკურ ვითარებასა და ადამიანთა განწყობილებაზე. ამ საკითხის განხილვისას გამოთქვა შეშფოთება აღნიშნულ სფეროში დადებითი ძვრების დაყოვნების გამო და უკმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ ბევრმა სამინისტრომ, უწყებამ, რესპუბლიკურმა, ადგილობრივმა საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა გაჰყიანურეს კონკრეტულ ღონისძიებათა განხორციელება, ფორმალიზმს იჩენენ და „ზემოდან“ მოელიან მითითებებს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში, ცენტრალურ ეკონომიკურ უწყებებში, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებში მომუშავე კომუნისტების უურადღება მიეპყრო იმას, რომ საჭიროა გულდასმით შეიმუშაონ ეფექტიანი ღონისძიებანი, რათა შეძლონ საწარმოებისა და მოსახლეობის შემოსავლის ეკონომიკური რეგულირება, ჩართონ ინფლაციის საწინააღმდეგო ბრძოლებში, აქტიურად განავითარონ საწარმოებისა და მოსახლეობის ფულადი სახსრების მობილიზაციის ნებაყოფლობითი ფორმები.

პოლიტბიუროს მოიწონა მ. ს. გორბაჩოვისა და ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ტ. ჟივკოვის საუბრის შედეგები, რომელმაც დადასტურა ორი პარტიის ამხანაგური ურთიერთდაინტერესება სსრ კავშირსა და ბულგარეთში მიმდინარე რეფორმების წარმატებით. სოციალიზმის განვითარებისა და განახლების ბევრი მომწიფებული პრობლემის მსგავსება — ყოველი ქვეყნის კონკრეტული პირობების შესაბამისად მათი გადაწყვეტისადმი ბუნებრივი სხვადასხვაგვარი მიდგომის პირობებში — , ობიექტურ წანამძღვრებს უქმნის საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის თანამოქმედების გაღრმავებას.

საგანგებოდ აღინიშნა, რომ ორივე მხარე მზად არის განავითაროს ურთიერთობა ორ პარტიას შორის, სრულყოს გამოცდილების გაზიარების მექანიზმი, ერთად შეიმუშაოს თანამშრომლობის ახალი მოდელი. მიღწეულ მორიგებათა გამო შემუშავდა შესაბამისი დავალებანი.

განხილეს და მოიწონეს მ. ს. გორბაჩოვისა და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ე. ჰონეკერის შეხვედრის შედეგები. აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირსა მიმდინარე გარდაქმნის აქტუალურ საკითხებზე და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის მემკვიდრეობითობისა და განახლების შეხამების კურსის რეალიზაციის შესახებ ინფორმაციისა და აზრების ამხანაგურ გაზიარებას, რომელიც შეხვედრის დროს გაიმართა, დიდი მნიშვნელობა აქვს ორი პარტიის თანამოქმედების სრულყოფის, საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხთა ტრადიციული მეგობრობის შემდგომი განმტკიცებისათვის. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ორივე მხარე ღრმად არის დაინტერესებული სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მიმდინარე გარდაქმნების რეალური წარმატებით. საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ და გერმანიის ერთიანმა სოციალისტურმა პარტიამ კვლავ დადასტურეს თავიანთი ერთგულება ახლებური პოლიტიკური აზროვნებისადმი, თქვეს, რომ მზად არიან მოკავშირე სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად თანამიმდევრულად გაატარონ ევროპაში ვითარების გაჯანსაღების, თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის გაფართოების, განიარაღების დარგში დაწყებული ღონისძიებების განგრძობის კურსი.

სხდომაზე განიხილეს მ. ს. გორბაჩოვისა და საბჭოთა კავშირში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად ჩამოსული ირანის ისლამური საბჭოს კრების თავმჯდომარის, ირანის ისლამური რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების უზენაესი მთავარსარდლის მოვალეობის შემსრულებლის ა. ა. მაშემი-რაფსანჯანის მოლაპარაკების შედეგები. აღინიშნა, რომ ვიზიტის დროს მიღწეული მორიგებანი ახალ იმპულსს ანიჭებს საბჭოთა კავშირ-ირანის ურთიერთობის შემდგომ დაწინაურებას კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის გზით, მეტი ურთიერთგაგებისა და ნდობის მიღწევას სსრ კავშირსა და ირანს შორის.

პრინციპული მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირისა და ირანის ისლამური რესპუბლიკის ურთიერთობისა და მეგობრული თანამშრომლობის პრინციპების დეკლარაციას და 2000 წლამდე პერიოდისათვის სავაჭრო-ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის ერთიანი მიდგომა პროგრამას, რომელსაც მოსკოვში მოაწერეს ხელი მ. ს. გორბაჩოვმა და ა. ა. მაშემი-რაფსანჯანიმ და რომლებიც განსაზღვრავენ ორი ქვეყნის აქტიური თანამოქმედების სფეროებს. აღსაფოფილებით დადასტურდა, რომ საბჭოთა კავშირი და ირანი ისწრაფვიან ახლებურ საუფლებრივ წარმართონ თავიანთი ურთიერთობა, რაც შეესაბამება ორივე ქვეყნის ხალხების, რეგიონისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და სტაბილურობის ინტერესებს.

განიხილეს ვ. ი. ვორონცოვის ინფორმაცია ბრაზილიაში საბჭოთა დელეგაციის ოფიციალური ვიზიტის შედეგების შესახებ. აღსაფოფილებით აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირ-ბრაზილიის კონსტრუქციული დიალოგი, მსოფლიო პროცესის განვითარების პერსპექტივებისადმი ორი ქვეყნის ერთიანი მიდგომა პოზიციურ გავლენას ახდენს ორმხრივ ურთიერთობაზე, ხელს უწყობს მრავალმხრივ ძალისხმევას საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებისათვის. ვიზიტის დროს დადასტურდა საბჭოთა კავშირის პრინციპული დაინტერესება კიდევ უფრო განავითაროს ლათინური ამერიკის ქვეყნებთან ურთიერთობა, რომელიც ამ ბოლო წლებში სულ უფრო მრავალმხრივი ხდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

1 ივლისს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვივი გუმბარიძის თავმჯდომარეობით პირველი სხდომა გამართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის კომისიამ, რომელიც ამზადებს საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებებისა და დამატებების შესახებ საქართველოს სსრ კანონის, საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ საქართველოს სსრ კანონისა და საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა არჩევნების შესახებ საქართველოს სსრ კანონის პროექტებს.

კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ ოპერატიულად უნდა იქნეს შეტანილი ცვლილებანი და შესწორებანი რესპუბლიკის კონსტიტუციაში, რომლის ბევრი პუნქტი აღარ შეესაბამება დღევანდელობის მოთხოვნებს, ამასთან ხაზი გაესვეს, რომ საჭიროა გულდასმით აწონ-დაწონონ და საფუძვლიანად მოიფიქრონ ყოველი წინადადება. ამავე დროს ითქვა, რომ კანონპროექტებს გამოიტანენ საყოველთაო განხილვისათვის.

განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით გამართულ სხა-ბაასში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის მთავარი არბიტრი ალექსანდრე კავსაძე, საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის მდივანი ლანა ღოღობერიძე, საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის პირველი მდივანი ელდარ შენგელაია, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვახტანგ კვარაცხელია, საქართველოს თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარე გრიგოლ ლორთქიფანიძე, რესპუბლიკის ომისა და შრომის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე შალვა კიკნაძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი თამაზ შავგულიძე, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვალერიან კობახია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივნის მოვალეობის შემსრულებელი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი როინ მეტრეველი, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი გია ყანჩელი, საქართველოს სსრ სახმშენის თავმჯდომარის პირველი მოადგილე გურამ მირიანაშვილი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ოთარ ჩერქეზია.

კომისიამ მოისმინა აგრეთვე სამუშაო ჯგუფების თავმჯდომარეების — თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის პროორექტორის, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ კორესპონდენტის ლევან ალექსიძის და თბილისის უნივერსიტეტის სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის კათედრის გამგის პროფესორ გივი ინწკირველის ინფორმაცია ამ ჯგუფების საქმიანობის ძირითად მიმართულებათა შესახებ.

რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინადადებით კომისიამ გადაწყვიტა შექმნას დამატებითი სამუშაო ჯგუფები იმ საკითხთა შესამუშავებლად, რომლებიც ეხება საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის რეალური სუვერენიტეტის განხორციელებას, საქართველოს სსრ მოქალაქის სტატუსის შემოღებას, საქართველოს სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სსრ კავშირის კანონების მოქმედების პირობებს, ეროვნული საჯარისო ფორმირებების აღდგენას და რესპუბლიკის ახალწვეულთა მიერ სამხედრო სამსახურის საქართველოს ტერიტორიაზე გავლას.

ამ სამუშაო ჯგუფების თავმჯდომარეებად დანიშნული არიან რესპუბლიკის სახალხო განათლების მინისტრი გურამ ენუქიძე, თბილისის უნივერსიტეტის კათედრის გამგე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი სერგი ჯორბენაძე, ალექსანდრე კავსაძე და თამაზ შავგულიძე.

კომისიის წევრებმა გამოთქვეს რწმენა, რომ საქართველოს სსრ კონსტიტუციის ცვლილებანი და დამატებანი უზრუნველყოფენ საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ახალი უმაღლესი ორგანოს არჩევას ჭეშმარიტად დემოკრატიულ საფუძველზე, რესპუბლიკის სუვერენიტეტისა და მის მოქალაქეთა რეალური კონსტიტუციური უფლებების გაფართოებას.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო იუწყება

ბანვლილი დღე-ღამის მანძილზე მარნეულის, ბოლნისისა და დმანისის რაიონებში საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროო თავისი ძალებით, ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებთან ერთად აზორციელებდა პრაქტიკულ გამაფრთხილებელ-პროფილაქტიკურ ღონისძიებებს. ამის შედეგად აღნიშნულ რეგიონში რაიმე სერიოზული დარღვევა არ მომხდარა. ოპერატიული ვითარება სტაბილიზებული ხდება და თანდათან დგება კალაპოტში.

ადგილობრივი მოსახლეობა გაგებით ეკიდება და მხარს უჭერს ყველა ამ ღონისძიებას და რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაობას. ამისათვის სამინისტროს ხელმძღვანელობა მადლობას მოახსენებს რეგიონში მცხოვრებ ყველა ეროვნების წარმომადგენლებს, რომლებიც არ იშურებენ ძალ-ღონეს ამისათვის, რომ აღადგინონ ნორმალური ცხოვრების პირობები.

ოპერატიულ ვითარებას რეგიონში კონტროლს უწევს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახური.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია

30 ივნისს მოსკოვში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მ. ს. გორბაჩოვის თავმჯდომარეობით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველმა სესიამ მუშაობა განაგრძო.

სხდომას ესწრებოდა 438 სახალხო დეპუტატი. ამასთან დაკავშირებით **მ. ს. გორბაჩოვმა** შენიშნა, რომ სესია უფლებამოსილია გადაწყვიტოს საკითხები, მაგრამ პალატების თავმჯდომარეებმა და მათმა მოადგილეებმა მუშაობა უნდა გასწიონ იმ დეპუტატთა შორის, რომლებიც არ მონაწილეობენ სესიის მუშაობაში.

არის წინადადება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე დაინიშნოს ვ. ხ. დოგუჟიევი.

სიტყვა ეძლევა **ვ. ხ. დოგუჟიევს.** მან თქვა, რომ ჯერჯერობით ვერ წამოაყენებს კონკრეტულ პროგრამას. კომისიამ, რომელიც შეიქმნება, უნდა ჩამოაყალიბოს მრეწველობაში ავარიების, სტიქიური კატასტროფებისა და უბედურებების შემთხვევაში მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემის შექმნისათვის გამიზნული სამუშაოთა ვრცელი პროგრამა.

ვფიქრობ, თქვა შემდეგ ორატორმა, კომისიის მუშაობის მთავარი მიზანი ის არის, რომ შეიქმნას ასეთი უსაფრთხოების უზრუნველყოფის კომპლექსური სახელმწიფო სისტემა. მან არა მარტო უნდა იმოქმედოს რომელიმე უბედურების ან ავარიის ლიკვიდაციის მომენტში, არამედ პროფილაქტიკური, გამაფრთხილებელი ხასიათისა იყოს. ამას დრო სჭირდება.

უპასუხა რა კითხვებს, ვ. ხ. დოგუჟიევი შეეხო ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურში მომხდარი ავარიის შემდეგ გომელის ოლქის სიტუაციას. ჩერნობილის პრობლემა იქნება ჩემს უახლოეს საქმიანობაში, თქვა მან.

შემდეგ მან განიხილა, თუ რა სიტუაცია შეიქმნა კატასტროფებით გამოწვეული ზარალის შედეგად და თქვა, რომ შარშან მრეწველობაში მოხდა პირველი და მეორე კატეგორიის 790 ავარია. წარმოებაში მიღებული ტრავმებით შარშან გარდაიცვალა დაახლოებით 14 ათასი კაცი. ყოველწლიურად ქვეყანაში უბედური შემთხვევების, მოწმვლისა და ტრავმების შედეგად დაახლოებით 250-260 ათასი კაცი იღუპება. სამთო მრეწველობაში 1 მილიონი ტონა ქვანახშირის მოპოვებაზე ჩვენთან შედარებით მეტი უბედური შემთხვევაა, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ვ. ხ. დოგუჟიევმა ვერ უპასუხა კითხვას, თუ როგორი იქნება კომისიის შტატი და ბიუჯეტი. ეს, თქვა კანდიდატმა, მომავლის საქმეა.

გაიმართა კენჭისყრა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო ვ. ხ. დოგუჟიევს ნიშნავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

მ. ს. გორბაჩოვმა სთხოვა დეპუტატებს დაამტკიცონ მცირეოდენი ცვლილება სსრ კავშირის მთავრობის შემადგენლობაში დასახელებული კანდიდატების განხილვის წესში. იმასთან დაკავშირებით, რომ უახლოეს დღეებში მოეწყობა საერთაშორისო აქცია — სსრ კავშირის დელეგაციის გამგზავრება — წამოყენებულია წინადადება სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად ედუარდ ა შევარდნაძე, რათა მას ჰქონდეს უფლებამოსილებანი.

ე. ა. შევარდნაძემ თქვა, რომ მზად არის მოკლედ მიმოიხილოს სამინისტროს მუშაობა. მაგრამ, თუ დეპუტატები დათანხმდებიან, იგი უახლოეს დროში სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს წარუდგენს საფუძვლიან მოხსენებას საბჭოთა დიპლომატიის საქმიანობაზე.

კენჭისყრით დეპუტატები ამტკიცებენ ორატორის მეორე წინადადებას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო ერთხმად ნიშნავს ე. ა. შევარდნაძეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად. უნიკალური შემთხვევაა მთელი ჩვენი მუშაობის განმავლობაში, აღნიშნა სხდომის თავმჯდომარემ.

წინადადებას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველის პოსტზე განიხილონ მ. ს. შაბარდნიას კანდიდატურა.

დეპუტატებმა **ნ. ნ. მედვედევმა, ფ. ხუდონაზაროვმა, ა. ა. დენისოვმა** და სხვებმა კანდიდატს მიმართეს კითხვებით და სურვილებით.

მ. ს. შაბარდნიამ უპასუხა მათ და ხაზგასმით აღნიშნა, რომ უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების უზრუნველყოფა. ჯერ კიდევ ვ. ი. ლენინის მიერ შექმნილი და მაშინ ვ. ა. ბონჩ-ბრუევიჩისათვის გადაცემული ეს პოსტი სათანადო სიმაღლეზე უნდა აკიყვანოთ. კანდიდატმა თქვა, რომ ისწრაფვის უზრუნველყოს მართვის, შრომის ორგანიზაციის თანამედროვე დონე უახლეს ტექნიკურ და ინფორმაციულ საშუალებებზე, უწინარეს ყოვლისა, კომპიუტერულ ტექნიკაზე დაყრდნობით. ასეთი საშუალებებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უზრუნველყოფის ამოცანა, აღნიშნა მან, მხოლოდ ერთი შეხედვით მოეჩვენება კაცს უბრალო საქმედ. ვფიქრობ, მას გადავწყვეტთ, მოგვიანებით კი მიგმართავთ ტირაჟირებას ბევრ სხვა სფეროში, მათ შორის მომავალ საარჩევნო კამპანიაში გამოყენების მიზნით.

მ. ს. გორბაჩოვმა ამასთან შენიშნა, რომ ჩვენ მართლაც ჩამოვრჩით მართვის მექანიზაციასა და ავტომატიზაციაში. და არა მარტო აქ. ჯერჯერობით ამ მუშაობის იდეოლოგიაც კი არ არის.

მ. ს. შაბარდნია შეეხო სამინისტროების მუშაობის, მათი ურთიერთმოქმედების სტრუქტურულ სქემას. ზუსტად უნდა განვსაზღვროთ სამინისტროების, მინისტრთა საბჭოს ბიუროებისა და კომისიების, სხვა ცენტრალური ორგანოების ფუნქციები, ახალ პირობებში ტერიტორიულ ორგანოებთან მათი ურთიერთმოქმედების სისტემა სახელმწიფო საწარმოს შესახებ კანონის მიღების, ახალი სამეურნეო მექანიზმის შემოღების შემდეგ.

ხმათა უმრავლესობით დეპუტატები ამტკიცებენ მ. ს. შაბარდნიას დანიშვნას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველად.

დეპუტატების განსახილველად გამოაქვთ საკითხი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ ვ. მ. კამენცევის დანიშვნის შესახებ.

სიტყვა ეძლევა **ვ. მ. კამენცევს.** შეეხო რა მთავრობის საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობასა და მისი გაკეტილების ღონისძიებებს, მან განაცხადა, რომ სსრ კავშირის საგარეო-სავაჭრო ბრუნვა მსოფლიო ვაჭრობის სისტემაში შეადგენს ოთხ პროცენტზე ცოტა მეტს. ეს სრულიად არ შეესაბამება ქვეყნის მოთხოვნილებებსა და შესაძლებლობებს.

საქონელბრუნვის სტრუქტურა საკმაოდ ცალმხრივი ხასიათისაა. ჩვენს ექსპორტში 60 პროცენტს შეადგენს ნედლეული და ნავთობპროდუქტები — და მხოლოდ 40 პროცენტს — მზა ნაწარმი. ყოველივე ამან, სამობიზე ფასების დაკლებასთან ერთად, გამოიწვია ის, რომ ბოლო დროს საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ხვედრითმა წილმა საერთო ეროვნულ შემოსავალში 11-დან 8 პროცენტამდე იკლო. მნიშვნელოვანწილად ეს გამოწვეულია იმით, რომ პროდუქციის უშუალო მწარმოებლები პრაქტიკულად ჩამოშორეს საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობას და ისინი სრულიად გულგრილად ეკიდებოდნენ თავიანთი პროდუქციის ექსპორტს. სიტუაცია გამოსასწორებელი იყო. მთავრობამ, პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ძირეული გაუმჯობესებისათვის გამიზნული გადაწყვეტილებათა ეტაპობრივი სერია.

ყველი ამ გადაწყვეტილებაში მთავარი იყო პროდუქციის უშუალო მწარმოებლები მიეახლოებინათ საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობასთან. დღეს ყველა მწარმოებელ საწარმოს უკლებლივ უფლება მიეცა განახორციელოს საექსპორტო-საიმპორტო საქმიანობა, გავიდეს საგარეო ბაზარზე.

პროდუქციის დამამზადებლებს ნება ეძლევათ ვალუტის ბარჯვის საკითხი არავის არ შეუთანხმონ. არსებითად გამარტივდა საბაჟო პროცედურები, საზღვარგარეთ სპეციალისტთა მივლინების წესი, მიღებულია ფუძემდებელი დოკუმენტები უშუალო ურთიერთობის განხორციელების, ერთობლივი საწარმოების ორგანიზაციისათვის, რომელებსაც ახლა უშუალოდ ქმნიან თვით საწარმოები, მოქმედებს უფლება განვითარდეს ერთობლივი მეწარმეობის სხვადასხვა ფორმები, მათ შორის ფინანსური, მეცნიერული და საკადრო.

მაგრამ, თქვა შემდეგ კანდიდატმა, ის წინსვლა, რომლის მიღწევაც გვინდოდა, ჯერჯერობით არ არის. ქვეყანას ძმიმე სავალუტო მდგომარეობა აქვს, დავალიანება ოჯერ აღემატება ექსპორტის შემოსავალს, იმპორტი კი მხოლოდ საგარეო კრედიტების გამოყენების გზით ხდება.

საგარეო-ეკონომიკური კომისიის ამოცანა, ვ. მ. კამენცევის აზრით, ის არის, რომ განახორციელოს რეფორმა საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის სფეროში, გააძლიეროს მისი როლი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. ეს მოითხოვს სტრუქტურის შედგომ დემოკრატიზაციას, მართვის ეკონომიკური ფორმების დანერგვას, ანუ დარგებისა და საწარმოების ძირითადი ნაწილის გადაყვანას სავალუტო თვითნაზღაურებაზე, სავალუტო ანარიცხების მომატებას, ახალი სამართლებრივი საფუძვლის შექმნას, საჭიროა უფრო მეტი უფლებები გადაეცეს ადგილებზე, რესპუბლიკებში, საწარმოებში, შეიქმნას ღრმა საკავშირო დამოუკიდებლობა და შემცირდეს ვალუტის მხრივ სხვათა მოიმედეობა.

შეეხო რა ეროვნული ვალუტის კონვერსიულობის შექმნის პერსპექტივებს, ორატორმა აღნიშნა, რომ საამისო ეკონომიკური წანამძღვრები უკავშირდება ქვეყანაში სასაქონლო, ფულადი და სხვა საბაზრო განვითარებადი ფორმების არსებობას, ფინანსური და საკრედიტო-ფულადი სისტემის სტაბილიზაციას. თუ ასეთი პირობები არ იქნა, ხაზი გაუსვა მან, კონვერსიულობას შეიძლება შედეგად მოჰყვეს საგადამხდელო ბალანსის მოშლა, ინფლაცია, დავალიანების ზრდა. კონვერსიულობის ობიექტური საფუძველი ჩვენს ქვეყანაში, სამწუხაროდ, ჯერ არ შექმნილა.

რეალური ამოცანაა საბჭოთა მანეთის ნაწილობრივი კონვერსიულობის ეტაპობრივი შემოღება. ამას შეიძლება მივაღწიოთ ქვეყნის საფინანსო სისტემის სახელმწიფო საწარმოს შესახებ კანონის მიღების, ახალი სამეურნეო მექანიზმის შემოღების შემდეგ.

ხმათა უმრავლესობით დეპუტატები ამტკიცებენ მ. ს. შაბარდნიას დანიშვნას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველად.

დეპუტატებმა **ნ. ნ. მედვედევმა, ფ. ხუდონაზაროვმა, ა. ა. დენისოვმა** და სხვებმა კანდიდატს მიმართეს კითხვებით და სურვილებით.

მ. ს. შაბარდნიამ უპასუხა მათ და ხაზგასმით აღნიშნა, რომ უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების უზრუნველყოფა. ჯერ კიდევ ვ. ი. ლენინის მიერ შექმნილი და მაშინ ვ. ა. ბონჩ-ბრუევიჩისათვის გადაცემული ეს პოსტი სათანადო სიმაღლეზე უნდა აკიყვანოთ. კანდიდატმა თქვა, რომ ისწრაფვის უზრუნველყოს მართვის, შრომის ორგანიზაციის თანამედროვე დონე უახლეს ტექნიკურ და ინფორმაციულ საშუალებებზე, უწინარეს ყოველისა, კომპიუტერულ ტექნიკაზე დაყრდნობით. ასეთი საშუალებებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უზრუნველყოფის ამოცანა, აღნიშნა მან, მხოლოდ ერთი შეხედვით მოეჩვენება კაცს უბრალო საქმედ. ვფიქრობ, მას გადავწყვეტთ, მოგვიანებით კი მიგმართავთ ტირაჟირებას ბევრ სხვა სფეროში, მათ შორის მომავალ საარჩევნო კამპანიაში გამოყენების მიზნით.

მ. ს. გორბაჩოვმა ამასთან შენიშნა, რომ ჩვენ მართლაც ჩამოვრჩით მართვის მექანიზაციასა და ავტომატიზაციაში. და არა მარტო აქ. ჯერჯერობით ამ მუშაობის იდეოლოგიაც კი არ არის.

მ. ს. შაბარდნია შეეხო სამინისტროების მუშაობის, მათი ურთიერთმოქმედების სტრუქტურულ სქემას. ზუსტად უნდა განვსაზღვროთ სამინისტროების, მინისტრთა საბჭოს ბიუროებისა და კომისიების, სხვა ცენტრალური ორგანოების ფუნქციები, ახალ პირობებში ტერიტორიულ ორგანოებთან მათი ურთიერთმოქმედების სისტემა სახელმწიფო საწარმოს შესახებ კანონის მიღების, ახალი სამეურნეო მექანიზმის შემოღების შემდეგ.

ხმათა უმრავლესობით დეპუტატები ამტკიცებენ მ. ს. შაბარდნიას დანიშვნას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველად.

დეპუტატებმა **ნ. ნ. მედვედევმა, ფ. ხუდონაზაროვმა, ა. ა. დენისოვმა** და სხვებმა კანდიდატს მიმართეს კითხვებით და სურვილებით.

მ. ს. შაბარდნიამ უპასუხა მათ და ხაზგასმით აღნიშნა, რომ უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების უზრუნველყოფა. ჯერ კიდევ ვ. ი. ლენინის მიერ შექმნილი და მაშინ ვ. ა. ბონჩ-ბრუევიჩისათვის გადაცემული ეს პოსტი სათანადო სიმაღლეზე უნდა აკიყვანოთ. კანდიდატმა თქვა, რომ ისწრაფვის უზრუნველყოს მართვის, შრომის ორგანიზაციის თანამედროვე დონე უახლეს ტექნიკურ და ინფორმაციულ საშუალებებზე, უწინარეს ყოველისა, კომპიუტერულ ტექნიკაზე დაყრდნობით. ასეთი საშუალებებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უზრუნველყოფის ამოცანა, აღნიშნა მან, მხოლოდ ერთი შეხედვით მოეჩვენება კაცს უბრალო საქმედ. ვფიქრობ, მას გადავწყვეტთ, მოგვიანებით კი მიგმართავთ ტირაჟირებას ბევრ სხვა სფეროში, მათ შორის მომავალ საარჩევნო კამპანიაში გამოყენების მიზნით.

ვ. ი. ფილშინმა. დღესღეობით ვერც იმას ვიტყვით, თითქოს ჩვენი მუშაობა ისე იყოს ორგანიზებული, რომ უსათუოდ მოჰყვება რადიკალური ცვლილებები. სამწუხაროდ, არ არის შემუშავებული მომავალი მთავრობის წევრთა განხილვისათვის საჭირო კრიტერიუმები, თუმცა ყოველ ჩვენგანს აქვს ისინი. ორატორის აზრით, კანდიდატურების განხილვისას უნდა გავითვალისწინოთ მხთი დიდი პროფესიონალიზმი, თვალსაჩინო ძვრები მუშაობაში, ვრცელი სამოქმედო პროგრამა.

ორატორმა წამოაყენა წინადადება, რომ იმათ, ვისაც თანამდებობებზე ასახელებენ, მიეცეთ გარკვეული ვადა წინადადებათა რეალიზაციისათვის, თუნდაც მიმდინარე წლის ბოლომდე, და მხოლოდ შემდეგ განვიხილოთ მათი კენჭისყრა.

ნ. ნ. მედვედევმა, რომელმაც საზღვარგარეთ მედიკამენტების შესყიდვის საკითხი დასვა, თქვა, რომ პასუხი არ აკმაყოფილებს. მისი აზრით, დღეს აუცილებელია სასწრაფოდ ვიყიდოთ 500 მილიონი მანეთის მედიკამენტები. მან განაცხადა, რომ ხმას მისცემს ვ. მ. კამენცევის კანდიდატურას, ვინაიდან იგი მიაჩნია ადამიანად, რომელსაც ესმის ჯანდაცვის საჭიროებები. მისი აზრით, პრეტენდენტი ამ მხრივ დიდ ოპერატიულობას გამოიჩენს, და საკითხი, რომელსაც ხალხის ჯანმრთელობის დაცვის კომიტეტი აყენებს, დაუყოვნებლივ უნდა გადაწყდეს.

შეეხო რა საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობას, დეპუტატმა **ვ. ი. ოგაროკმა** აღნიშნა, რომ არამც და არამც არ შეიძლება მისი გამოცალკევება მთელი ჩვენი ეკონომიკისაგან. მაგრამ ამ უბანზე მრავლად არის ნაკლოვანებანი. ამავე დროს ვ. მ. კამენცევმა და კომისიამ მისი ხელმძღვანელობით ორ წელიწადში შეძლეს შეექმნათ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სისტემა. მიღებულია დოკუმენტების პაკეტი, რომელიც ხელს შეუწყობს მის განვითარებას. შემუშავებულია პერსპექტიული პროგრამა, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს ხელი ავიღოთ ნედლეულთან ვაჭრობაზე. დეპუტატმა გამოთქვა სურვილი, კომისია თავის მომავალ საქმიანობაში უფრო საგნობრივად აბორიკიელებდეს ამ პროგრამას.

რატომღაც ისე მოხდა, განაცხადა დეპუტატმა **ა. თ. კახიანოვმა,** რომ ქვეყანაში არსებობს ორგანიზაციები საგარეო-სავაჭრო სისტემაში, რომლებიც მხოლოდ სურსათის იმპორტს ეწევიან. უკანასკნელი 20 წლის მანძილზე არ ყოფილა ორგანიზაცია, რომელიც სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ექსპორტს ეწეოდეს, თუმცა ჩვენ საამისოდ დიდი შესაძლებლობანი გვაქვს. ორატორის აზრით, ეს საკითხები უნდა გადაწყდეს და რაც შეიძლება ენერგიულად.

დეპუტატმა **ვ. ვ. სვატკოვსკიმ** უურადღება გაამახვილა საგარეო ვაჭრობისათვის კადრების მომზადების, კერძოდ, საზღვარგარეთ სტაჟირების პრობლემაზე. მან მოუწოდა განავითარონ სასწავლებლების ქსელი, რომლებიც უნდა ამზადებდნენ მენეჯერებს და სხვა სპეციალისტებს. მან გულისტკივილით თქვა, რომ ექსპორტს უამრავი ნედლეული მიაქვს. ამავე დროს ცუდად გამოიყენება ვალუტის შემოსავლის ისეთი წყარო, როგორიცაა საერთაშორისო ტურიზმი, რომელსაც უდიდესი უურადღება უნდა დაეთმოს.

ეკონომიკის, ეკოლოგიის, საგარეო ვაჭრობის თანამოქმედების საკითხებს შეეხო თავის გამოსვლაში დეპუტატი **ვ. მ. დენისოვი.** მან თქვა, რომ შორეულ აღმოსავლეთში იღეავა ტყის მარაგი, ვინაიდან ძალზე ბევრი ხე-ტყე გაგვაქვს საზღვარგარეთ. ეს კი არღვევს რეგიონის ეკოლოგიურ სტრუქტურას. სამრეწველო ათვისების გამო ეწრიტება წყლის რესურსები, მკვეთრად დაქვეითდა ძვირფასი ჯიშის თევზის მოპოვება. მან ვ. მ. კამენცევს მოუწოდა გაითვალისწინოს ეს კრიტიკა შემდგომ მუშაობაში.

ნავთობპროდუქტების ექსპორტთან დაკავშირებული მწვავე პრობლემა აღძრა დეპუტატმა **ლ. ი. სუხოვმა.** ჩვენ ბევრი ნავთობი გაგვაქვს საზღვარგარეთ, ამ დროს კი თვითონ არ გვყოფნის ქვეყანაში. მე ძმლოლი ვარ, განაგრძო ორატორმა, და ამას ყოველდღიურ მუშაობაში ვგრძნობ. არადა, საწვავის ნაკლებობა აფერხებს სახალხო მოხმარების საქონლის დანიშნულებისამებრ მიტანას და უარყოფით გავლენას ახდენს შრომის დისციპლინაზე.

კარგად მესმის, რატომ გამოიწვია ამხანაგ კამენცევის კანდიდატურის განხილვამ ესოდენ ცხოველი ინტერესი და ძალზე მწვავე კრიტიკა, თქვა **ნ. ი. რიჟკოვმა.** როგორც ჩანს, ბევრ საკითხთან დაკავშირებით არსებობს დაუკმაყოფილებლობა. ეს პრობლემა კარგად მესმის. გულახდილად რომ გითხრათ, დეპუტატებზე ნაკლებად როდი მაწუხებს ვითარება, ქვეყნის საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობაში რომ იქმნება. ვფიქრობ, კიდევ რამდენიმე თვის მუშაობის შემდეგ გეკნებათ შესაძლებლობა უფრო ღრმად ჩასწვდეთ მთელ სიტუაციას, რომელიც ჩვენი სახელმწიფოს საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობაში შეიქმნა. იგი ფრიად რთულია.

დაკისრებული მოვალეობის გამო მიხდება ხოლმე მუშაობა ყველა კომპლექსთან. მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ყველაზე მეტად მაწუხებს და მაფიქრებს ჩვენი სახელმწიფოს საგარეო-ეკონომიკური მდგომარეობა. არა გვაქვს დღეს ფხვნილი, ალბათ, უფხვნილოდაც გავალთ ფონს. არა გვაქვს დღეს სპორი — ცოდია. მაგრამ, როგორც ჩანს, ერთი-ორი თვე გავძლებთ უსაპნოდ. მაგრამ თუ ჩვენს საგარეო-ეკონომიკურ სტრატეგიაში მოვტყუვდებით, შეიძლება დავსაჯოთ არა მარტო საკუთარი თავი, არამედ აგრეთვე ჩვენი შვილები და შვილიშვილები. ამიტომ ყოველთვის ძალზე ფრთხილად აწონ-დაწონილად ვეკიდებოდი ამ საქმეს.

აღნიშნულ საკითხში არის ორი წინააღმდეგობა. ეს გახლავთ სამომავლო ეკონომიკური სტრატეგია, რის გამოც სრულიად სამართლიანად თქვეს ამხანაგებმა, რატომ არის, რომ ხე-ტყეს, ნავთობს, გაზს ვყიდითო? მეც ამავე აზრისა ვარ. თავი უნდა ვანებოთ როგორც საკუთარი თავის, ისე ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების ძარცვას. მაგრამ, ამავე დროს, აქვე გვერდით გვიდევს ფურცელი, რომელშიც ნათქვამია, როგორ ვიცხოვროთ დღეს. აი, ეს ორი წინააღმდეგობა ყოველთვის აწყდება ერთმანეთს.

იქნებ სწორიც იყოს დღეს შეგვემცირებინა ჩვენი ქვეყნის საქონელბრუნვა, შეგვემცირებინა ნედლეულის გაყიდვა. მაგრამ მაშინ, მოდით, მეორე საკითხი გადავწყვიტოთ. რა ვუყოთ სადღეისო პრობლემებს? იმისათვის, რომ ხალხი დავაუროთ, ჩვენ გვჭირდება 50 მილიონი ტონა მარცვლეული. განა შეგვიძლია დღეს უარი ვთქვათ მარცვლეულის შესყიდვაზე? პირადად მე ხალისით ვიტყოდი უარს პირველი. მაგრამ რა ვქნათ მაშინ ქვეყანაში? ჯერჯერობით ვერ დაგვიხვავებია ხორცი, რძე. და თუ დღეს ამ შესყიდვაზე უარს ვიტყვით, იძულებული გავხდებით ბევრ სასურსათო პროდუქტზე შემოვიღოთ ბარათების სისტემა.

რაც შეეხება კრედიტებს, გვაკრიტიკებენ ყოველი მხრიდან, მარცხნიდან თუ მარჯვნიდან. ერთნი ამბობენ, რატომ იზრდებაო საგარეო ვალი. იზრდება იმიტომ, რომ, სამწუხაროდ, არ გვინდა ვიმყოფნოთ ის, რაც გვაქვს. ჩვენ ვალებით ვცხოვრობთ. ეს ერთი მხარეა. მეორენი გვიკიჟინებენ, რატომ არ იღებთო დიდ კრედიტებს. რატომ არის, რომ ამ კრედიტებით არ ყიდულობთ იმას, რაც გვჭირდება სიმბისოდ, რომ დღეს კარგი სოციალური ატმოსფერო შეიქმნას ჩვენს ქვეყანაშიო და ა. შ.? ისეთი სიტუაციაა, რომ დღეს საერთოდ არავინ არავის არ უბრუნებს ვალს. მაგრამ ეს შეიძლება ითქვას რომელიღაც სხვა ქვეყანაზე, ოღონდ არა ჩვენზე. ჩვენ დიდი ქვეყანა ვართ, ჩვენ დიდი სახელმწიფო ვართ. და თუ ფულს ვსესხულობთ, უნდა გავისტუმროთ. ეს სახელმწიფოს პრესტიჟია.

ამიტომ ჩვენ ამ წლებში ძალზე ფრთხილად ვიღებდით კრედიტებს. აი, ცოტა ხნის წინ ავიღეთ კრედიტი, ეს პრესაშიც დაიწერა, 2 მილიარდი მანეთი იმისათვის, რომ შეგვესყიდა ტექნოლოგიური მოწყობილობა კვებისა და მსუბუქი მრეწველობისათვის. სანამ ჩვენი ქარხნები წელში გაიმართებოდნენ, ჩვენ ვიღებთ ამ კრედიტებს. მაგრამ მოვიქცეთ ისე, რომ რამდენიმე წლის შემდეგ უმძიმეს მდგომარეობაში აღმოვჩნდეთ, — ეს ძალზე საშიში მოვლენაა. წინადახედულად უნდა მიეუდგეთ ასეთ პრობლემებს.

ნ. ნ. რიჟკოვმა აღნიშნა, რომ მთავარია შეექმნათ სისტემა. განა იმ საგარეო-ეკონომიკური კომპლექსის მიღწევა არ არის, რომელსაც ამხანაგი კამენცევი მეთაურობდა, რომ ორწელიწად-ნახევარში, არსებითად ჩვენ მოვარიგეთ საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის საგარეო ვაჭრობის მონოპოლიზმი. ამ დროის განმავლობაში ჩვენ შევქმენით სისტემა. ახლა კი ვიძლევით ყველაფრით ვაჭრობის შესაძლებლობას. ითქვათ, რომ ასე ყოფილიყო, ამხანაგი კამენცევი ძალზე აქტიურად მუშაობდა. იგი ერთი ამათგანთა, ვინც ნამდვილად უდგას მხარში საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის დემოკრატიზაციას.

რაც შეეხება სტრატეგიას, იგი გვაქვს. იგი დამტკიცებულია.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

ᲗᲗᲑᲘᲠᲘ ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

30 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა თათბირი, რომელზეც იმსჯელეს, თუ როგორ სრულდება პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებანი სოფლის მეურნეობის პროდუქციის შენახვა-გადამუშავებისა და სასურსათო მანქანათმშენებლობის ბაზის განვითარების, თანამედროვე სასურსათო ინდუსტრიის შექმნის შესახებ. თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების პირველი მდივნები, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, საალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომების, რესპუბლიკების, მხარეების, ოლქებისა და დიდი ქალაქების აგროსამრეწველო კომიტეტების, რესპუბლიკური კოოპკავშირების გამგეობათა თავმჯდომარენი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის აგრარული პოლიტიკის საკითხთა კომისიის წევრები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს აგრარულ და სასურსათო საკითხთა კომიტეტის წევრები, სსრ კავშირის მინისტრები და სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარენი, მანქანათსაშენებელი ქარხნების, სამშენებლო ორგანიზაციების, კვების მრეწველობის საწარმოთა სამეურნეო ხელმძღვანელები და პარტკომების მდივნები, სამეცნიერო, საკონსტრუქტორო და საპროექტო ორგანიზაციათა მეცნიერი სპეციალისტები, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ მ. ს. გორბაჩოვმა.

მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ი. კ. ლიგაჩოვმა.

განსახილველ საკითხებზე გამოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ვ. ვლასოვი, პარტიის კიევის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. ი. რევენკო, კრასნოდარის მხარის აგროკომბინატ „ყირიმის“ გენერალური დირექტორი ვ. ფ. კრიუჩკოვი, პარტიის ვიტებსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ვ. გრიგორიევი, ყირგიზეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ა. მ. მასალიევი, მოსკოვის გამოყენებითი ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის რექტორი ი. ი. როგოვი, სკკპ გორკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. მ. ხოდირევი, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ა. მასოლი, ბიისკის ხორცის კომბინატის დირექტორი ვ. ე. შესტაკოვი, უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ი. ხ. ჯურაბეკოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. ს. ბელოუსოვი, სსრ კავშირის სამხრეთი რაიონების მშენებლობის მინისტრი ა. ნ. შჩეპეტილნიკოვი, მოსკოვის ოლქის ეუკოვსკის პურკომბინატის დირექტორი ზ. დ. ბალაკირევა, ლიტვის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ვ. საკალაუსკასი, სსრ კავშირის ზოგადი მანქანათმშენებლობის სამინისტროს საკონსტრუქტორო ბიუროს „ენერგომანქანის“ უფროსი და მთავარი კონსტრუქტორი ვ. პ. რადოვსკი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, რესპუბლიკის სახაგრომრეწვის თავმჯდომარე გ. დ. მგელაძე, პარტიის ასტრახანის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ნ. დიაკოვი, ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, რესპუბლიკის სახაგრომრეწვის თავმჯდომარე ე. ხ. გუკასოვი, სსრ კავშირის ზოგადი მანქანათმშენებლობის სამინისტროს სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „იუჟნოეს“ გენერალური კონსტრუქტორი ვ. ფ. უტკინი.

დასასრულ გამოვიდა მ. ს. გორბაჩოვი.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ ამხანაგები ლ. ნ. ზაიკოვი, ნ. ი. რიჟკოვი, ი. დ. მასლიუკოვი, გ. პ. რაზუმოვსკი, ი. ფ. სოლოვიოვი, ო. დ. ბაკლანოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები.

თათბირის ანგარიში გამოქვეყნდება.

• • •

თათბირის მონაწილენი ეწვევიან მრეწველობის სასურსათო დარგების მოწყობილობისა და ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსის მცირე მექანიზაციის საშუალებების გამოფენა-ბაზრობას, რომელიც სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე გაიხსნა, იყენებენ მოსკოვისა და დედაქალაქის ოლქის კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოებში.

(საბჭესი).

ᲕᲝᲡᲐᲤᲠᲔᲑᲐ

ᲚᲘᲕᲔᲠᲘᲡᲐ რა მოგახსენოთ, პირადად მე კი მგონია, ჩვენს ცხოვრება-საქმიანობაში თუ სადმე ფეხი მოიკიდა ფორმალიზმმა და მოჩვენებითობამ, ზემოდან ორგანიზებულმა ენთუზიაზმმა. ეს არის უწინარეს ყოველისა...

მაგრამ, მოდით, ნუ ავჩქარდებით. მიზეზს ახლავე მოგახსენებთ. თემა და საკითხია ისეთი, საკმარისია კაცმა იმ ორიოდე მოყირჭებულ სიტყვას თვალი მოჰკრას, რომ აღვილი შესაძლებელია, წერილი არც წაიკითხოს. ვერც გავამტყუნებ. ათწლეულებია სულ ამაზე ვ

წერილები „კომუნისტს“

დროულია!..

უაღრესად დროულია პროფესორ ვახტანგ გოგუაძის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ჩვენი რესპუბლიკის უპირველეს გაზეთ „კომუნისტს“, „საქართველო“ დაერქვას („კომუნისტი“, 25 ივნისი, 1989 წ.).

გაზეთი „კომუნისტი“ ურთულესი ეპოქებისა და მოვლენების მემატიანეა, სარკეა, ზოგჯერ სამწუხაროდ მრუდე სარკეც...

ჩვენს ეროვნულ გაზეთს, შეიძლება ითქვას, იმთავითვე შეუსაბამოდ ეწოდა „კომუნისტი“, რადგან იგი არამარტო რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო იყო და არის, არამედ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოსაც.

ვნახოთ, ახალმა სახელმა შეიძლება ხელი შეუწყოს მის ყოველმხრივ გადახალისებას, მეტადრე, შინაარსის შეცვლა-გამდიდრებას, იმას, რომ ეროვნული პრესის საუკეთესო წინამორბედთა დარად, მხოლოდ ხალხის გულისთქმის გამომხატველი გახდეს, მხოლოდ სიმართლეს ემსახუროს, ხელი შეუწყოს ახლადშექმნილი სახალხო ფრონტის მიზანდასახულობათა განხორციელებას, ბევრ კეთილშობილურ, ეროვნულ საქმეს.

რახან სახელის შეცვლა გადაგვიწყვეტია, იქნებ მოვახსნათ, ჩემი აზრით, უკვე დრომოჭმული ლოზუნგიც: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ ჯერ ერთი, პროლეტარები სადღა არიან და, მეორეც, რაც მთავარია, ეს ლოზუნგი შეერთებისა და კოსმოლიდაციის მაგივრად, დღეს უკვე ხალხს ჰყოფს სოციალურ ძალებად, უპირისპირებს ერთმანეთს. ესეც გასათვალისწინებელია.

რა აჯობებს, როდესაც „საქართველო“ მოემსახურება საქართველოს სახუკვარ იდეალებს. მაშ, გზა დაეღოცოს „საქართველოს“!

რეზო ჩხეიძე,
სსრ კავშირის სახალხო არტისტი.

ვიდრე გაზეთი მოინათლებოდეს

ვ. გოგუაძის წერილში გამოთქმული მოსაზრება, რომ „კომუნისტს“ ეწოდოს „საქართველო“, ორდინარულ ფაქტად ვერ ჩაითვლება და უპირველესად იმის გამო, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანოს აზგარი საკითხის განსჯა შესაძლებლად მიუჩნევია. ყოველივე ეს ჩვენი დროის, ახალი აზროვნების სიმპტომია. მართლაც გაზეთი, რომელსაც რესპუბლიკის, მთელი ერის ინტერესთა გამოხატვის პრეტენზია აქვს, ვიწროპარტიული სახელწოდებით არ უნდა იფარგლებოდეს. საზოგადოებრივ ინსტიტუტთა, მათ შორის ბეჭდვითი ორგანოების სახელწოდებებში ხომ მათი იდეალებია მატერიალიზებული! მისასალმებელი იქნება, თუ არა მხოლოდ „კომუნისტი“, არამედ ყველა სხვა გაზეთი და ჟურნალი ხელს აიღებს ინფორმაციული დეფიციტის ხელოვნურად შექმნისა და დეზინფორმაციის პოლიტიკაზე, რომელიც თანამიმდევრულად ტარდებოდა ათეული წლების მანძილზე.

ამ პოლიტიკის დაძლევისათვის, ჭეშმარიტი გარდაქმნისათვის საჭიროა ეროვნული სულის ემბაზში განბანვა. ამ ორიოდე თვის მანძილზე „კომუნისტი“ თითქოს სწორედ ამ გზით მიეპართება და მისი ნათლობა „საქართველოს“ სახელწოდებით სასურველი იქნება, თუ მისი რედაქცია შეძლებს წინ აღუდგეს ეგრეთწოდებულ დირექტივებს ისეთ შემთხვევებში, როდესაც მთ საქართველოსათვის არასასურველად მიიჩნევს. გარდა ამისა, რა „საქართველო“ იქნება ის „საქართველო“, თუ საკუთარი კორესპონდენტები არ ეყოლება საბჭოეთისა და დანარჩენი მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების დედაქალაქებში! და ბოლოს უმნიშვნელოვანესი კითხვა: რამდენად შესაბამისი იქნება „საქართველოსათვის“, რომელიც ვ. გოგუაძის თქმით „ეროვნული თვითცნობიერების რეფლექსიაა“ უნდა იყოს აღბეჭდილი, ამავე გაზეთის ანაქრონისტული, ზეეროვნული, მე ვიტყოდი — კოსმოპოლიტური ხვეული „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“? ეს ის კითხვებია, რომლებიც „კომუნისტის“ რედაქციამ ნათლად უნდა გაიაზროს, ვიდრე თავისი გაზეთის გარდაქმნა-განახლებისა და ხელახალი ნათლობის ბედს საბოლოოდ გადაწყვეტდეს.

ირაკლი კენჭოშვილი,
რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ქართულ-საზღვარგარეთულ ლიტერატურულ ურთიერთობათა განყოფილების გამგე.

ამასაც მოვესწარით

პირდაპირ ვიტყვი, რომ საკითხის დასმამ გაზეთ „კომუნისტის“ სახელწოდების შეცვლის შესახებ ჩემი დიდი გულისტკივილი გამოიწვია. ხედავთ, რას მოვესწარით? პარტიის ვეტერანებისათვის ეს განსაკუთრებით მტკივნეულია იმიტომ, რომ ძველთან ბრძოლაში ყალიბდებოდა ახალი სმყარო და ავანგარდში კომუნისტები იდგნენ. ვფიქრობთ, ბევრი ამჟამინდელი სიძნელე არც იარსებებდა, ახალი თაობა ყურად რომ იღებდეს პარტიის, ომისა და შრომის ვეტერანთა შეგონებას. საჭიროა ხშირად მოვაწყოთ ვეტერანთა შეკრებები და ჩვენი მოსაზრებები სხვადასხვა მტკივნეულ საკითხზე წარვუდგინოთ მთავრობას.

ჩემი ღრმა რწმენით, ახლა საჭიროა აღვუდგინოთ ავტორიტეტი პარტიას, რომ შემდეგ სანანებელი არ გვქონდეს.

აკაკი ჩარკვიანი,
პარტიისა და შრომის ვეტერანი.

მხარს ვუჭერთ

ვეგალეობის, მეგენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მრავალრიცხოვანი კოლექტივი იწონებს და ერთსულოვნად მხარს უჭერს წინადადებას გაზეთ „კომუნისტის“ სახელწოდების შეცვლის შესახებ.

გაშარჯვების გზით ევლოს გაზეთ „საქართველოს“ რედაქციას თავისი ერის საკეთილდღეოდ!

ნოდარ ჩხარტიშვილი,
ინსტიტუტის დირექტორი;
ბუხუტი ცუხიშვილი,
პარტიული კომიტეტის მდივანი;
შუმი კობეშავიძე,
პროფკომიტეტის თავჯდომარე;
შარდენ ახვლედიანი,
შრომითი კოლექტივის საბჭოს თავჯდომარე.

„კომუნისტის“ სახალხოთლოგის გარშემო

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში ორ ათეულ წელზე მეტი ხანი ვმუშაობდი სხვადასხვა დროს. ამიტომ ბუნებრივია, გამორჩეულად მიყვარს ეს გაზეთი, პატივცემამ მის სახელწოდებასაც და სარედაქციო კოლეგივსაც. როდესაც დღის წესრიგში დგება „კომუნისტის“ ახალნათლობის საკითხი, თავს მოვალედ ვრაცხ ჩემი აზრი გავუზიარო დაინტერესებულ ქართველობას და გაზეთის რედაქციას.

„კომუნისტის“ მიმდინარე წლის 25 ივნისის ნომერში გამოქვეყნდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორის, პროფესორ ვახტანგ გოგუაძის სტატია „მოვლენებს თავისი სახელი ვუწოდოთ“. სტატიის ავტორი ასე აყენებს საკითხს: „მოვიდა ჟამი ამ სახალხო გაზეთს („კომუნისტს“, ე. ი.) იმ რესპუბლიკის სახელი დაერქვას, რომელსაც ის წარმოადგენს. დაე, იქცეს საკვე პავლად, ეს კიდევ უფრო გაუხსნის ხელს გაზეთს, რომ დაალწიოს თავი ერთგვარ საოქმო სტილს (საწყენად ნუ მიიჩნევთ, რამეთუ ეს მისი მოვალეობაა“). რაა მისი მოვალეობა, „საოქმო სტილი?“ ეს რა უცნაური მსჯელობა და დაუმსახურებელი საყვედურია რედაქციისადმი!

სტატიის ავტორი გამოთქვამს რწმენას, რომ აღნიშნულ გაზეთს „საქართველო“ თუ დაერქმევა, იგი „შეიქმს მრავალფეროვნებას და თავის სტილს“.

პროფ. ვ. გოგუაძის მსჯელობიდან გამოდის ერთი ლოგიკური დასკვნა: გაზეთის „საოქმო სტილის“ მიზეზი მისი სახელწოდება ყოფილა.

ავტორის თქმით „არაფერი ისე არ სჭირდება დღეს საქართველოს, როგორც ეროვნული თვითცნობიერების რეფლექსია, სწორი პოლიტიკური ტაქტი და ორიენტაცია“. მართალი ბრძანებაა, მაგრამ ვითომ დაგიჯერო, გაზეთი „კომუნისტი“ მოკლებულ იყოს ყველა ამ ღირსებას? მაშ, როგორ მიაღწია მისმა ტირაჟმა 700 ათას ეგზემპლარს? როგორ მოხდა, რომ მიმდინარე წლის იანვრიდან 1 აპრილამდე, ე. ი. სამი თვის მანძილზე ხელმოწერა გაზეთზე 20 ათასით რომ გაიზარდა?

ამ მონაცემებიდან ცხადია, რომ სახელწოდებას ოდნავაც არ შეუშლია ხელი გაზეთისათვის — ყოფილიყო იგი მასობრივი ჟანთველისათვის ხელმისაწვდომიც, პოპულარულიც და ასე განსაჯეთ, მრავალფეროვანიც.

სტატიის ავტორი ცოდვად უთვლის „კომუნისტს“ მის ფურცლებზე ოცდაათიან-ორმოციან წლებში რეპრესიების პერიპეტიები რომ შუქდებოდა. ავტორი წერს: „კომუნისტის“ 1936, 1937, 1938... წლების ნომრები მიფურცლავს. კარგა ხანს გონს ვერ მოვსულვარ, რამდენი ერისკაცი გაუწირავს, რამდენი ცოდვა უტვირთავს“.

პროფ. ვ. გოგუაძეს უთუოდ მოეხსენება, რომ გაზეთი თავისი ეპოქის შემატყობინეა და მას უფლება არა აქვს დროის კარნახით შექმნილ ყველა სტატიაციას ალაო არ აუღოს, პასუხი არ გასცეს, ოპერატიულად არ გამოეხმაუროს ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვან საზოგადოებრივ მოვლენებს.

ისიც სათქმელია, რომ გაზეთი „კომუნისტი“ ჩვენი ცხოვრების მანკიერ მხარეებთან ერთად არაერთი სასიხარულო ამბების მაცნე და მახარობელი ყოფილა, რომლებსაც რატომღაც უგულებელჰყოფს ავტორი.

გაზეთი „კომუნისტი“ გამოსვლის დღიდან ჩვენი ცხოვრების თანამგზავრი გახდა. ომსა და მშვიდობაში ის მუდამ ჩვენი ფხიზელი გუშაგი იყო, ჩვენი მეკვლე და მახარობელი, ჭკუის დამრიგებელი, მოძღვართ-მოძღვარი.

პროფ. ვ. გოგუაძე წერს: „კაი სახელია ამშვენებს მოვლენასა და კაცს“. მართალი ბრძანებაა. სწორედ ასეთი „კაი სახელია“ ჩვენი ერის მედროშე გაზეთისათვის „კომუნისტი“.

69 წელია ამ სახელწოდებით გამოდის ეს გაზეთი და ჩვენ მას ისე შევჩვეიეთ, სხვა სახელწოდება ვერც კი წარმოგვიდგენია. „კომუნისტის“ გამოსვლას ისე ელოდება ყოველი ჩვენგანი, როგორც დილა ბედნიერზე მზის ამობრწყინებას. ნუ მოვაკლებთ თანამედროვე ქართველებს ამ სიამოვნებას! თუ მაინცდამაინც გვინდა გაზეთს „იმ რესპუბლიკის სახელი დაერქვას, რომელსაც ის წარმოადგენს“, მადლობა ღმერთს, ჩვენ ამ მხრივაც არ ვყოფილვართ ჩამორჩენილი. არაერთი ჩვენი პერიოდული გამოცემა ზუ გამომცემლობა ატარებს საქართველოს სახელს. რომელი ერთი ჩამოთვალო — ჟურნალები: „საქართველოს კომუნისტი“, „საქართველოს ქალი“, „ლიტერატურნაია გრუზია“, გაზეთები „ლიტერატურული საქართველო“, „მოლოდიოჟ გრუზიი“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ და ა. შ. საქართველოს სახელდებული პერიოდიკის ასეთ მოზღვავებას კიდევ უნდა მიმატება? ერთხელ კიდევ დავფიქრდეთ, რომ აჩქარება სანანებელი არ გაგვიხდეს.

თუ ჩვენი დაუცხრომელი სურვილია როგორც დღემდე, მომავალშიც მტკიცედ იდგეს ეს გაზეთი ერის კონსოლიდაციის სამსახურში, განა ამ საშური საქმის მისაღწევად მას უფრო მეტ ძალას და ენერგიას არ მატებს კომუნისტის სახელი?

როგორც პირადად ჩემი, ისე მრავალი ქართველი მწერლისა და ჟურნალისტის, მკითხველთა ფართო მასების სურვილია ახგარში გაეწიოს ტრადიციას და „კომუნისტი“ კვლავაც კომუნისტობდეს. ამ სახელწოდებით კვლავაც იყოს იგი ჩვენი რესპუბლიკის პერიოდიკის მებაირახტრე.

ელიზბარ უბილავა.

ერის გამაერთიანებელი უნდა იყოს

გაზეთ „კომუნისტის“ 25 ივნისის ნომერში წავიკითხე პროფესორ ვახტანგ გოგუაძის წერილი: „მოვლენებს თავისი სახელები ვუწოდოთ“.

მე სავსებით ვუჭერ მხარს სტატიაში გამოთქმულ აზრს და დარწმუნებული ვარ, რომ „საქართველო“ უფრო შეეფერება ჩვენი რესპუბლიკის პირველ გაზეთს.

თავის დროზე ცენტრალური გაზეთისათვის „კომუნისტის“ სახელწოდება გამართლებული და მისაღები იყო, მაგრამ გავიდა დრო. დღეს გაზეთი საქართველოს მოსახლეობის, ქართველი ხალხის საერთო გაზეთია. სახელწოდება „კომუნისტი“ თითქოს ორ ნაწილად ყოფს ხალხს— კომუნისტებად და არა კომუნისტებად.

აზრთა და შეხედულებათა პლურალიზმის პირობებში, როდესაც არსებობს სხვადასხვა არაფორმალური თუ ფორმალური, მაგრამ ეროვნული გაერთიანებები, მიმდინარეობს ბრძოლა რესპუბლიკის სუვერენიტეტის გაფართოების, ერის ერთიანობის განმტკიცებისათვის, რესპუბლიკის თავადი გაზეთის სახელწოდება ერის გამაერთიანებელი უნდა იყოს, ისეთი სახელწოდება კი — „საქართველოა“. ქართველი ხალხის ყველა წარმომადგენელი, მიუხედავად ასაკისა, პარტიულობისა თუ რწმენისა, ისეთი სახელწოდების გაზეთს თავის ორგანოდ მიიჩნევს.

დარწმუნებული ვარ, რომ გაზეთი „საქართველოს“ ხელმოწერთა რიცხვიც ერთი-ორად გაიზრდება.

ილია ტაბაღუა,
პროფესორი.

ვადასტურებთ თანადგომას

ჩვენი ფაკულტეტის პედაგოგები და სტუდენტები დიდი ყურადღებით გავეცანით პროფესორ ვ. გოგუაძის წერილს „მოვლენებს თავისი სახელი ვუწოდოთ“, რომლის ძირითადი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენს გაზეთ „კომუნისტს“ ამიერიდან, დღევანდელი დღის მოთხოვნების შესაბამისად, ეწოდოს „საქართველო“. ყოველივე ეს იმდენად მოტივირებულია ვ. გოგუაძის წერილსა და თქვენსავე სარედაქციო შენიშვნაში, რომ ისღა დაგვრჩენია მხოლოდ ხელისმოწერით დაგიდასტუროთ ჩვენი თანადგომა ამ საკითხში.

გიორგი დოლიძე,
საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის კინო-ფაკულტეტის დეკანი, დოცენტი.

ამაღლებული

საკვლევით ვეთანხმები პროფესორ ვახტანგ გოგუაძის პუბლიკაციაში ჩამოყალიბებულ მოსაზრებას „კომუნისტის“ სახელწოდების შეცვლის შესახებ.

ვიმედოვნებთ, სახელწოდება „საქართველო“ გარდაქმნისა და საჯაროობის პირობაში იქნება სახელითაც და შინაარსითაც. გაზეთი, ჩემი აზრით, ახლა ალმავლობის გზაზეა და ყოველმხრივ ცდილობს ეროვნული ტკივილებით აღსავსე პრობლემების გაშუქებას. ოფიციალური მასალები მომავალშიც მრავლად იქნება, მაგრამ „საქართველოს“ დარჩება იმის უფლება და საშუალება, რომ მუდამ დაუთმოს მნიშვნელოვანი ადგილი საკუთარ რესპუბლიკას, საკუთარ ხალხს. შესაძლებლად მეჩვენება ისიც, რომ მომზადდეს საგანგებო ნომრები, მიძღვნილი რესპუბლიკის სუვერენიტეტის გაფართოების, ერის კონსოლიდაციისა და თვითდამკვიდრების, ახალგაზრდობის აღზრდის, სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის, ტრადიციების განმტკიცების, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების აქტუალური საკითხებისადმი.

„კომუნისტის“ კვალდაკვალ, ალბათ, სახელი უნდა შეეცვალოს ზოგიერთ რესპუბლიკურ და მრავალ საქალაქო და რაიონულ გაზეთს.

დიახ, ამაღლებული და ეროვნული „საქართველო“ ყოველდღე უნდა შემოდიოდეს ჩვენს ოჯახებში...

სპარტაკ ძოგულია,
გაზეთ „სახალხო განათლების“ პასუხისმგებელი მდივანი.

საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროში

საქართველო-იუნიდო: პირდაპირი ურთიერთობა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელით საგარეო საქმეთა მინისტრმა გიორგი ჯავახიშვილმა ვენაში ხელი მოაწერა **იუნიდო**-სთან თანამშრომლობის ხელშეკრულებას. საქართველო პირველად არის წარმოდგენილი ასეთ დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო დოკუმენტში ცალკე სტრიქონად როგორც სუვერენული რესპუბლიკა.

— რესპუბლიკამ პირველად დაამყარა უშუალო კავშირი **იუნიდო**-სთან, გაერთიანებული ერების სამრეწველო განვითარების ამ პრესტიჟიულ ორგანიზაციასთან, რომელიც ეხმარება განვითარებადს ქვეყნებს, ხელს უწყობს ეკონომიკურ და მეცნიერულ კონტაქტებს **იუნიდო**-ს წევრ ქვეყნებს შორის, — თქვა გიორგი ჯავახიშვილმა საქინფორმის კორესპონდენტის იური გოლდმანისათვის მიცემულ ინტერვიუში. — საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო უფლებების გაფართოება ხელს უწყობს უცხოეთთან ურთიერთობის ეფექტიანობის რეალურ ამაღლებას რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების ინტერესებისათვის. ეს უფლებები დაუმკვიდრა ჩვენს სამინისტროს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სპეციალური ბრძანებულებამ. დამტკიცებულია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დებულება, რომელიც ჯერჯერობით ერთადერთი იქნება ჩვენს ქვეყანაში. ბიუროს მეშვეობით რესპუბლიკის წარმომადგენლები უშუალო ურთიერთობას დამყარებენ ამ საერთაშორისო ორგანიზაციასთან პრობლემების მთელ კომპლექსთან დაკავშირებით. ბიურო უნდა გახდეს საქართველოსა და განვითარებადი ქვეყნების საქმიანი კავშირურთიერთობის გარანტი.

ყოველივე ეს შესაძლებლობას მოგვცემს არა მარტო შევავსოთ რესპუბლიკის სავალუტო მარაგი, მდინარე წლის სექტემბერში თბილისში კავშირის მასშტაბით პირველად მოეწყობა **იუნიდო**-ს გლობალური საკონსულტაციო თათბირი. მისი მონაწილენი — რამდენიმე ათეული ქვეყნის წარმყვანი ექსპერტები, დიდი ფირმების წარმომადგენლები განიხილავენ ხილისა და ბოსტნეულის მოსავლის აღების, შენახვისა და გადამუშავების პრობლემებს. შემუშავდენ რეკომენდაციებს, რომელთა განხორციელება კაზრდის გადამუშავებელი მრეწველობის საწარმოთა მეწარმოებლობას, ხელს შეუწყობს ამ დარგში განვითარებადს ქვეყნებთან ტექნიკური თანამშრომლობის გაფართოებას, მათ შორის, საერთაშორისო ბაზრებზე გასვლას. მომავალი მოვლენა იმითაც არის ნიშანდობლივი, რომ ადგილზე დაიდება ხელშეკრულებანი ერთობლივ საწარმოთა შექმნის შესახებ. სხვათა შორის, გადამუშავებელი მრეწველობის დარგში ჩვენს რესპუბლიკასთან თანამშრომლობის სურვილი უკვე გამოთქვეს ფილიპინებმა, ტაილენდმა, სინგაპურმა, მთელმა რიგმა სოციალისტურმა ქვეყნებმა.

მიმდინარე წლის შემოდგომაზე თბილისში გაიხსნება **იუნიდო**-ს საქართველოს ბიურო, რომელიც ჯერჯერობით ერთადერთი იქნება ჩვენს ქვეყანაში. ბიუროს მეშვეობით რესპუბლიკის წარმომადგენლები უშუალო ურთიერთობას დამყარებენ ამ საერთაშორისო ორგანიზაციასთან პრობლემების მთელ კომპლექსთან დაკავშირებით. ბიურო უნდა გახდეს საქართველოსა და განვითარებადი ქვეყნების საქმიანი კავშირურთიერთობის გარანტი.

ყოველივე ეს შესაძლებლობას მოგვცემს არა მარტო შევავსოთ რესპუბლიკის სავალუტო მარაგი, [illegible] ეკონომიკურ [illegible] ლისში [illegible] ადასახა დარგის მართვის სპეციალისტები წამყვან მსოფლიო ცენტრებში **იუნიდო**-ს ხარჯზე.

საერთაშორისო საკონსულტაციო ცენტრში საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების წამყვან სპეციალისტთა მონაწილეობით დამუშავდება საკითხები, რომლებიც დაკავშირებული ეროვნული საწარმოთა შექმნასთან, მათს ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებასთან, აგრეთვე განვითარებულ ქვეყნებში მრეწველობის დაგეგმვის, მართვის, განვითარების პრობლემებთან.

შემთხვევითი როდია, რომ **იუნიდო**-მ იხტერესი გამოიჩინა ჩვენს რესპუბლიკასთან თანამშრომლობისადმი. აქ რეგულარულად ეწყობა სხვადასხვა საერთაშორისო თათბირები, სიმპოზიუმები, კონფერენციები **იუნიდო**-ს ეგიდით, არის კარგი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გვყვანან მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები. ცენტრის მუშაობაში ჩაებამთ რესპუბლიკურ დაწესებულებებს, უწინარეს ყოვლისა, საქართველოს აგრომრეწვს, რომელიც, სხვათა შორის, არსებითად საკონსულტაციო თათბირის „მთავარი მოქმედი პირია“. გადასაჭრელი გვაქვს კიდევ მთელი რიგი პრობლემები, კერძოდ, მომავალი ცენტრის დაფინანსების, ტექნიკური აღჭურვისა და ა. შ. მაგრამ საქართველოს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა, იმ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მხრივ ურთიერთგაგება და მხარდაჭერა, რომლებთანაც მოლაპარაკებას ვაწარმოებდით, გვისახავს რწმენას, რომ ყველა საკითხი წარმატებით გადაწყდება.

UNIDO
ეროვნული პუბლიკაცია

ულხოეთში საკვლევი იუწყება 1 ივლისი

მოვლენის ფონ

იმედით მოვლით

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი მიესალმება გორბაჩოვის მომავალ ვიზიტს

პარიზი. 1985 წლიდან მოყოლებული აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობა მნიშვნელოვნად შეიცვალა, მაგრამ ეს პროცესი ეს-ეს არის დაიწყო, თქვა საკვლევის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა ქათრინ ლალუმიერმა. ამ ორგანიზაციის შტაბ-ბინას სტრასბურგში, რომელიც დასავლეთ ევროპის 23 ქვეყანას აერთიანებს, საფრანგეთში ოფიციალური ვიზიტის დროს ეწვევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე მ. ს. გორბაჩოვი.

აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობის ევოლუცია მიზნად ისახავს ევროპის გათიშვის დაძლევას, თქვა შემდეგ ქ. ლალუმიერმა. ეს გათიშვა ეხებოდა იდეოლოგიას, პოლიტიკას, ეკონომიკას. იდეოლოგიური თვალსაზრისით საბჭოთა კავშირში ახლა ხდება სერიოზული ცვლილებანი, თუმცა ცხადია, რომ მთელი იდეოლოგიური მემკვიდრეობის გადასინჯვა როდი მიმდინარეობს, რადგან მასში ბევრი რამ კარგია. პოლიტიკურ დონეზე თანდათანობით აქტიურდება აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობა, მაგრამ სავაჭრო-ეკონომიკურ დარგში ეს ურთიერთობა ჯერ კიდევ შორს არის პოტენციურად შესაძლო დონისაგან.

ევროპის საბჭოში დღის წესრიგში დგას საბჭოთა კავშირთან დიალოგის დამკვიდრების საკითხი, თქვა ქ. ლალუმიერმა. ჩვენ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი გავაფართოოთ თანამშრომლობა სსრ კავშირთან სხვადასხვა სფეროში ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში და ამასთან დაკავშირებით იმედით მოველოთ მ. ს. გორბაჩოვის ჩამოსვლას. პირადად მე, უპირველეს ყოვლისა, მაინტერესებს საბჭოთა ხელმძღვანელის არგუმენტები ევროპაში ამჟამად მიმდინარე დისკუსიაში საერთო-ევროპული სახლის მშენებლობის თაობაზე. როგორად ესახება საბჭოთა კავშირს ეს სახლი? ევროპის საბჭოს აქვს აგრეთვე გარკვეული მოსაზრებანი ამის თაობაზე, ამიტომ ესოდენ საჭიროა შევჯეროთ თვალსაზრისები და შედეგად განვიხილოთ არსებული წინადადებანი და შემდგომი ნაბიჯები. საერთო-ევროპული სახლის პრობლემის განხილვას, განაცხადა ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა, მარტო წმინდა ინტელექტუალური, გონიერული მნიშვნელობა როდი აქვს. დისკუსიას უნდა მოჰყვეს გარკვეული პოლიტიკური მოქმედება. მ. ს. გორბაჩოვის ვიზიტი, რომელიც ცხადყოფს კონსტრუქციულ და პოზიტიურ შიდგომას ამ პრობლემებისადმი, ხაზგასმით აღნიშნა მან, დაგვეხმარება განესაზღვროთ თანამშრომლობის კონკრეტული სფეროები და დავსახოთ ამ მიზნების მიღწევის გზები.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ ამას წინათ მიიღო ბანდაწყვეტილება, რომ სსრ კავშირსა და ევროპის მთელ რიგ სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებს მიეხვეთ „სპეციალურად მოწვეულის“ სტატუტი. იგი საშუალებას მისცემს საბჭოთა საკანონმდებლო ორგანოების წარმომადგენლებს მონაწილეობა მიიღონ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეისა და მისი ზოგიერთი კომიტეტის მუშაობაში გადაწყვეტი ხმის უფლების გარეშე. ეს, თქვა ქ. ლალუმიერმა, შეიძლება გახდეს პირველი ეტაპი ევროპის საბჭოსთან საბჭოთა კავშირის დაახლოების გზაზე.

● პაკისტანი

კვლავ უშედეგოდ

ისლამაბადი. ისლამაბადში „მოკავშირეთა გარდამავალი მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრთან“ გულბედინ ჰექმეთიართან მეორე შეხვედრა გამართა ავღანეთში დატყვევებული საბჭოთა სამხედრო მოსამსახურეების განთავისუფლებისათვის მებრძოლი სახალხო და საკოორდინაციო კომიტეტების წარმომადგენელთა დელეგაციამ, რომელიც პაკისტანში იმყოფება.

გამართული საუბრის დროს გ. ჰექმეთიარმა განაცხადა, რომ საბჭოთა კომიტეტებს ვერ გადასცემს ვერც ერთ დატყვევებულ საბჭოთა ჯარისკაცსა და ოფიცერს, ვინაიდან, ასეთი ნაბიჯი შეიძლება არ მოუწონონ მისი დაჯგუფების სხვა წევრებმა. მან ასევე ვერავითარი ცნობები ვერ მიაწოდა კომიტეტების წარმომადგენლებს იმ ოთხ საბჭოთა ჯარისკაცზე, ვისი მშობლებიც ჩამოჰყვნენ პაკისტანში სახალხო კომიტეტის დელეგაციას. გ. ჰექმეთიარმა თქვა, რომ „გარდამავალი მთავრობა“ განიხილავს საკითხს სსრ კავშირში იმ ავღანელ ქალთა დელეგაციის გამოგზავნის შესახებ, ვისი შვილებიც უგზოუკვლოდ დაიკარგნენ ავღანეთის ომის დროს.

● სუდანი

გადატრიალების შემდეგ

კაირო. გადატრიალების ხელმძღვანელის ბრიგადის გენერალს ომარ ფასან ჰასმედ ალ-ბაშირის მიერ ხელმოწერილი დეკრეტების თანახმად სუდანში უმაღლესი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელება დაეკისრა ეროვნული ხსნის რევოლუციის სარდლობას. მასვე მიენიჭა უფლება, გამოსცენ ბრძანებულებანი და შეიტანონ ამ ბრძანებულებებში შესწორებანი.

● ირლანდია

პოლიტიკური კრიზისი

დუბლინი. ირლანდიაში სერიოზული პოლიტიკური კრიზისი დაიწყო. ახალი შემადგენლობის პარლამენტმა, რომელიც თავის პირველ სხდომაზე შეიკრიბა, ვერ აირჩია ახალი პრემიერ-მინისტრი. ეს პირველად მოხდა 1922 წლის შემდეგ, როდესაც ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა. მთავრობის წინანდელი მეთაურის ჩ. ხოხის კანდიდატურა გუშინ სადამოს უარყვეს 86 ხმით 78-ის წინააღმდეგ. სხვა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა — ფინე გალის პარტიის ლიდერმა ა. დიუქსმა და ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა დ. სპრინგმა — ასევე ვერ დააროვეს ხმების საჭირო უმრავლესობა. „სიტუაცია, რომელშიც ჩვენ აღმოვჩნდით, უპრეცედენტოა მთელ ჩვენს ისტორიაში“, — თქვა ჩ. ხოხმ კენჭისყრის შედეგების გამოცხადების შემდეგ. ორშაბათს დანიშნულია ახალი კენჭისყრა პრემიერ-მინისტრის ასარჩევად.

ფოტოინფორმაცია

მეხიკო. მექსიკის პოლიციამ მეხიკოს გარეუბანში ერთ-ერთ შეუხედავ სახლში აღმოაჩინა კოლუმბიამდელი ეპოქის 111 უნიკალური ნაწარმი, რომლებიც ანთროპოლოგიის ეროვნული მუზეუმიდან მოიპარეს. გამართულ პრესკონფერენციაზე ფედერალური პროკურატურის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ უკვე დაბრუნებულია 1985 წელს მოპარული 140 ექსპონატიდან 138. მათი ნაწილი მსხვილი მაფიოზების — ანტიკვარიატის კოლექციონერთა ხელში იყო.

დაბრუნებულ რელიკვიათა შორის მეტი ნაწილი ოქროს ნაკეთობაა — მექსიკის ძველ მკვიდრთა სარიტუალო ნიღბები და სამკაულები.

სურათზე: ერთ-ერთი აღმოჩენილი სარიტუალო ნიღაბი.

აპ-საქდინის ფოტო.

ნეტა მამუკა 21-ის გახდებოდეს!..

რატომ? — თითქოს უცნაურად ეღერს ასეთი კითხვა, მაგრამ სწორედ ეს სიტყვა წამოსცდა ვიღაცას დღეობის სუფრაზე, როცა ტელეფონმა მედღეობეს კი არ მიუღოცა, უფასთან მომხდარი რკინგზის კატასტროფის ამბავი ამცნო. მართლაც, რაღაც, თითქოს, მისტიკური ძრწოლა გიპყრობს იმ უამრავი ბუნებითი და სოციალური უბედურებების გამო, ბოლო ხანს რომ დაგვატყდა თავს.

ჩვენი ქალაქი ერთ-ერთი იყო იმ ოთხიდან, სადაც დაშავებულნი გაგზავნეს. მე ტრაგედიიდან ორი კვირის შემდეგ აღმოვჩნდი სასწრაფო დახმარების საავადმყოფოს დამწვრობის განყოფილებაში. აქ მოყვანილი ხალხიდან სიცხიანთა სიაში. იყო ჩვიდმეტი, სამს „დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა“ ჰქონდა, დანარჩენებს— „მძიმე“. ამ უკანასკნელთა შორის იყო ის კაციც, რომლის სანახავადაც ამ შემზარავ ადგილას მოვედი.

ყოველად მოულოდნელად ქართველებს გადავეყარე, იქნებ იმიტომ, რომ თქვენი ქვეყნისადმი განსაკუთრებული გრძნობები მაქვს; ასეა თუ ისე, სრულიად შემთხვევით შევხვდი ჭირში სწორედ ამ ადამიანებს, რომლებიც ჩემთვის უცნობი ქალაქიდან — ხონიდან ჩამოსულიყვნენ.

ალბათ, ყველაზე უკეთ სწორედ ქართველები მიხვდებიან, რას გრძნობდა მამუკა ზაქარეიშვილი, რომელიც ალტის მხარეში ორი წლის სამხედრო სამსახურის შემდეგ შინ ბრუნდებოდა, მაგრამ ყველა ჩვენგანი მიხვდება როგორ ელოდნენ მას ოჯახში! სამსახურმა კარგად ჩაიარა, სერჟანტი გახდა, შინ ბრუნდებოდა

სადაც ხეები ზეზეურად კვდებიან

ბუნების სურათები

„**მალალი** მთები დედამიწის ის ლანდშაფტია, სადაც ცოცხალ ორგანიზმთა ზრდა-განვითარებისათვის მეტად მკაცრი პირობებია. ამიტომ მთამაღალი მცენარეებსა და ცხოველებს გარკვეულ გამოცდას უწყობს არსებობისათვის ბრძოლაში. უარყოფითი ფაქტორები, რომელთადანაც ცოცხალ ორგანიზმებს თავდაცვა უხდებათ, შემდეგია: მძვინვარე ქარები, დღე-ღამის განმავლობაში მკვეთრად ცვალებადი ტემპერატურა, თხელი, დედაქანზე აკიდვით გადაკრული, მწირი ნიადაგი, წლის უმეტეს პერიოდში გამეფებული თოვლი და ყინვა, გაძვავთებულ-ეხგამდადინი ჰაერი, რადიაციის მაღალი დონე.

მაგრამ დედამიწის სხვადასხვა რეგიონში მაღალ მთათა ბუნებრივი პირობები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. სხვა პირობებია ტროპიკებში მდებარე მთიან სისტემებში, სხვა — ზომიერ განედებში და სულ სხვა კიდევ — არიდულ ლანდშაფტებში, სახელდობრ, უდაბნოებზე აღმართულ მთებში. ტროპიკების მთათა (კილიმანჯარო, ეკვატორული ანდები, მთა კენია და ა. შ.) ძირში ძალიან თბილა, მთის სიმაღლის მატებასთან ერთად კი, სხვა ზონებში მდებარე მთების მსგავსად, ჰაერი სულ უფრო გრილი ხდება, ტროპიკული სარტყლის მთების ძალიან დიდ სიმაღლეზე კი მუდმივი თოვლის ზონაა. ეს გარემოება ბევრად განაპირობებს ცოცხალ ორგანიზმთა, მათ შორის ადამიანის ვერტიკალური მიმართულებით გავრცელებას. მაგალითად, სამხრეთ ამერიკაში ეკვადორის დედაქალაქი კიტო ანდებში ზღვის დონიდან 2818 მეტრზეა განლაგებული, იგი ეკოთი არის დამორგებული გეოგრაფიულ ეკვატორს. ქალაქში წლიური საშუალო ტემპერატურა 13 გრადუსია, ყველაზე თბილსა და ყველაზე ცივ თვეებს შორის სხვაობა სულ 0,5 გრადუსია. დედამიწის ზომიერი სარტყლის მთებში იგი 17 გრადუსს შეადგენს. ტროპიკულ მთებში მზიანი, ნათელი დღეები გაცილებით ბევრია, ვიდრე სხვაგან.

არიდულ (შრალ) რაიონებში მდებარე მთების (პამირი, ტიან-შანი, ალტაი) კლიმატს ახასიათებს ნალექების უმნიშვნელო რაოდენობა, ჰაერის სიმშრალე, მზის ინტენსიური რადიაციულობა, არქტიკული ზონის მტები (სოვეტსკაია — კუნძულ ვრანგელზე, ბირონგა — ტაიმირის ნახევარკუნძულზე) მაღალი არაა, მთთა მწვერვალები ტუნდრის მცენარეებითაა დაფარული. ამ მთებში, მცენარეთა ვეგეტაციის პერიოდში, ალპებთან და კავკასიონთან შედარებით დღის ხანგრძლივობა მეტია, ზზის რადიაციის ინტენსიურობა, პირიქით ნაკლებია, თოვლის საფარი თხელი ან ზომიერია, ღრუბლიანობა — ჭარბი, ტემპერატურა გაცილებით დაბალია, ხოლო ნიადაგი მუდმივად დამზრალ-გაყინულია.

დიდი მნიშვნელობა აქვს ერთი და იმავე მთის კალთების ექსპოზიციას. სამხრეთი კალთები, ჩვეულებრივ, მზით უფრო ზეგა, ვიდრე ჩრდილოეთი, ამიტომ ცოცხალი ორგანიზმები მთის სამხრეთ ფერდობზე უფრო მაღლა ვრცელდებიან, მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა კლიმატურ ფაქტორს.

მთაში, ზღვის დონიდან რაც უფრო მაღლა მივიწევთ, მით უფრო ძლიერია ქარი. ქარის სიძლავრე სხვადასხვა ფაქტორზეა დამოკიდებული, ვიწრო ხეობაში უფრო უბერავს, ვიდრე გაშლილში, ზომიერი სარტყლის მთებში უფრო ძლიერია, ვიდრე ტროპიკებში. ქარის სიძლავრე მატულობს ავრეთვე აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. მისი სიჩქარის რეკორდული მაჩვენებელი რეგისტრირებულია აშშ-ს მთა ვაშინგტონზე. ქარის ნაკადის სისწრაფე აქ საათში 372 კილომეტრს აღწევს.

მთის მძვინვარე ქარები ხელს უშლის მცენარეთა ზრდა-განვითარებას. ამიტომ, ჩვეულებრივ, პატარა ზომისანი არიან, ხშირად მიწაზეა განრთხმული. მაგალითად, დიდ კავკასიონზე 1800-2500 მეტრის ფარგლებში ტირიფი ზოგჯერ 15 სანტიმეტრი სიმაღლისა იზრდება, ხშირია ფრიად ტანდაბალი ასკილი, მოცვი და ა. შ. ხემცენარეები, მაგალითად ფიჭვი, ღვიასაკთან ერთიანად მიწაზეა განრთხმული. თუმცა — სუბალპების ზოგიერთმა მერქნიანმა მცენარემ სულ დაკარგა ხის ფორმა, ჯენერიკურად ისინი ახლოს დგანან ბარისა და მთისწინების ტანმაღალ ხეებთან.

სახელდობრ, მაღალი მთის ჯუჯა ტირიფები მთის შუა ზონაში ჩვეულებრივ ბუჩქებად იზრდება.

მაღალი მთის მცენარეთა მოკლე ღერო და ზოგჯერ შებუსული ფოთლები და ყვავილებიც კი (მაგალითად, ედელვეისი) გამყინავი ქარებისაგან სიიმედო დამცველია.

ბარში მცხოვრები ადამიანისათვის თოვლი და სიცივე განუყოფელი ცნებებია, მაღალმთაში კი თოვლის საფარი სითბოს შენარჩუნების დიდ გარანტიას ქმნის. მაგალითად, თუ სუბალპურ სარტყელში თოვლის საფარის ზედაპირზე ტემპერატურა საშუალოდ —20 გრადუსია, საფარის ქვეშ იგი 0-ის ქვემთ სულ რამდენიმე გრადუსით თუ ეცემა. გარდა ამისა, თოვლის საფარის ქვეშ ტემპერატურა მეტ-ნაკლებად ერთნაირია და არც ისე დიდ ფარგლებში მერყეობს, როგორც მის ზედაპირზე. მაგალითად, ამერიკის კლდოვან მთებში 3,5 მეტრი სიმაღლის თოვლის ქვეშ მიაკვლიეს გასაშლელად გამზადებულ ადგილობრივ თეთრყვავილას ლამაზ ყვითელ კვირტს. ეფემერა, ადრემოყვავილე მცენარეებს თოვლი კი არ ვნებს, პირიქით, გაყინვისაგან იცავს. ალპური ყვავილოვანი მცენარეების უჯრედები ძალიან პატარებია, ხოლო მათი წვენი მდიდარია გახსნილი აზოტით. მსგავსი ხსნარი ისეთივე დამცველ ფუნქციას ასრულებს, როგორსაც მანქანებში ანტიფრიზი, გაზაფხულის პირას თოვლი დნობას იწყებს. მისი საფარი 30 სანტიმეტრამდე რომ გადნება, მზის სინათლე უკვე აღწევს მცენარეს. ამ დროს ნაზი ყვავილი მომზადებულია საველეტაციოდ, ამიტომ თოვლი ვერც კი ასწრებს გადნობას, რის შედეგად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს განსახილველად მოვამზადებთ დოკუმენტს, რათა მან თავის სესიაზე დაამტკიცოს და კანონის სახე მისცეს მას. სესია დაგეგმულია სექტემბრისათვის. და ჩვენი დოკუმენტიც ამ დროისათვის უკვე მზად უნდა იყოს.

კომისიის თავმჯდომარის ამ წინადადების ირგვლივ გაიმართა მსჯელობა. კერძოდ, გამოთქვა აზრი, რომ რესპუბლიკის სახელმწიფო კომისიის დადგენილების იურიდიულმა გაფორმებამ უნდა დაასწროს საკავშირო ანალოგიური კომისიის დასკვნას, რისთვისაც აუცილებელია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე სესიის მოწვევა. შემდეგ თამაზ შავგულიძე შეეხო საკავშირო კომისიის მუშაობას თბილისში.

აღნიშნა, რომ აქ ყოფნისას საკავშირო კომისიამ შეაგროვა სანამდვილის ამსახველი მასალები, რასაც ხელი შეუწყო საქართველოს სახელმწიფო კომისიასთან მჭიდრო თანამშრომლობამ. ისე, რომ, თქვა მან, საკავშირო კომისიას ხელთ აქვს 9 აპრილის გარემოებათა რეალური სურათი.

მნიშვნელოვანი დეტალია ისიც, — დაძინა თამაზ შავგულიძემ, — რომ საკავშირო კომისიისთვის მიცემულ განმარტებაში გენერალ-პოლკოვნიკმა როდიონოვმა აღიარა, 9 აპრილის დემონსტრაცია მშვიდობიანი იყო და მისი გართულების უშუალო საფრთხე არ არსებობდაო. თუმცა გაურკვეველი იყო შემდგომში როგორ განვითარდებოდა მოვლენები, რისთვისაც, როგორც ჩანთ ყველაზე მაღალმა, ძალაუფლება თვითონვე ავიღე ხელშიო.

შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ განმარტებისათვის ტრიბუნაზე მიიწვია ზვიად გამსახურდია. მან ილაპარაკა აპრილის მოვლენათა ძირითად გამომწვევ მიზეზებზე, თქვა, რომ ისინი სათავეს იღებენ გარკვეული რეაქციული წრეების განწყობილებიდან. მისი აზრით აფხაზეთის ამბებიც სწორედ მათი უშუალო ჩარევისა და რეგულირების შედეგია. ამიტომ, — აღნიშნა ზვიად გამსახურდიამ, — გადაგწყვიტეთ არ ავყოლოდით პროვოკაციას და არ წავემართა ჩვენი პროტესტები ეროვნებათაშორისი შუღლის გაღვივების გზით, არ გაგვესვა ბაზი აფხაზეთის მოვლენებისათვის და ჩვენი საყოველთაო მშვიდობიანი აქცია წაგვემართა მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობისა და მისი საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გამოსვლის მოთხოვნით.

შემდეგ მან ილაპარაკა უშუალოდ ტრაგედიის დეტალებზე. შეაფასა იგი, როგორც ზინასწარ გამიზნული, კარგად გათვლილი ქმედება.

ამ მოკლე შესავლის შემდეგ, ზვიად გამსახურდიამ პასუხები გასცა კომისიის წევრთა შეკითხვებს.

შემდეგ კომისიის წინაშე თავისი დასკვნით წარსდგა 9 აპრილის მოვლენის სოციალ-ფსიქოლოგიური კვლევის კომისიის თავმჯდომარე ზოთა ნადირაშვილი. მან თქვა, რომ სამი თვის მანძილზე ჩატარდა თბილისის მოსახლეობის გამოკითხვა, რომელშიც 10 ათასმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. გამოსაკითხი ანკეტები სოციალური ფენების მიხედვით იყო დაყოფილი და მის მიზანს მიედინარე მოვლენებისადმი ადამიანთა დამოკიდებულებანი წარმოადგენდა. [illegible] სოციოლოგიურმა [illegible] — [illegible] — [illegible] —